



საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური



2021 წლის საქმიანობის ანგარიში

102

სანაო მონაცემები სწორი
გადაწყვეტილებებისთვის!



შინაარსი

თავი I

კანონმდებლობა

3

თავი II

ორგანიზაციული სტრუქტურა და
საშტაბო განრიგი

17

თავი III

2021 წლის ბიუჯეტი

23

თავი IV

2021 წელს განხორციელებული
ცვლილებები

35

თავი V

საერთაშორისო თანამშრომლობა

85

თავი VI

გეგმები 2022 წლისთვის

105





საბოლოო მონაცემები სწორი უარსწყველიყოებინათვის!



კანონმდებლობა



თავი I

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია და საქმიანობას წარმართავს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე, 2013 წლის 31 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №406 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების“ შესაბამისად. სამსახური თავის საქმიანობაში ასევე ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ასევე სხვა ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკური სისტემის მაკოორდინირებელ უწყებას. კანონის თანახმად, ის უზრუნველყოფს

ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და საერთაშორისო მეთოდოლოგიების დანერგვას.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს ევალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა მოიცავს წლის განმავლობაში შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს და შემსრულებლებს, გამოკვლევის პერიოდულობისა და გამოქვეყნების თარიღის მითითებით. სტატისტიკური სამუშაოების 2021 წლის პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 თებერვლის №175 განკარგულებით.

**საქართველოში ოფიციალური
სტატისტიკის წარმოება
ეფუძნება გაეროს ოფიციალური
სტატისტიკის ფუნდამენტურ
პრინციპებს**



მნიშვნელოვნობა, ობიექტურობა, საყოველთაო ხელმისაწვდომობა – ოფიციალური სტატისტიკა არის დემოკრატიული საზოგადოების საინფორმაციო სისტემის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ხელისუფლების ორგანოებს, ეკონომიკურ სუბიექტებსა და საზოგადოებას ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფს. ამ მიზნით და მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლები მიუკერძოებლად ამზადებენ და ავრცელებენ პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკურ მონაცემებს.


პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის დაცვა – ოფიციალური სტატისტიკის სადმი ნდობის შესანარჩუნებლად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და წარდგენის მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ მხოლოდ პროფესიული მოსაზრებების შესაბამისად, მეცნიერული პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით.

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა – სტატისტიკური მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის ხელშეწყობისათვის, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებმა ინფორმაცია უნდა წარადგინონ სტატისტიკურ წყაროებთან, მეთოდებთან და პროცედურებთან დაკავშირებული მეცნიერული სტანდარტების შესაბამისად.

სტატისტიკური მონაცემების მცდარი გამოყენების თავიდან აცილება – სტატისტიკური მონაცემების მცდარი ინტერპრეტაციის ან არასწორად გამოყენების შემთხვევაში, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლებს აქვთ მათი განმარტების უფლება.

სტატისტიკური წყაროს არსებობა – სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემები შეიძლება შეგროვდეს ყველა სახის წყაროდან – სტატისტიკური გამოკვლევებიდან ან/და ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციიდან. სტატისტიკის მწარმოებელმა სტატისტიკური წყარო უნდა შეარჩიოს ხარისხის, დროულობის, დანახარჯებისა და რესპონდენტის დატვირთვის გათვალისწინებით.

კონფიდენციალურობა – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლების მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების დამახასიათებელი მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის.



„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა

ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია (მათ შორის კონფიდენციალური).

საქსტატის საბჭო და საქსტატის მრჩეველთა საბჭო

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საქსტატის საბჭოსა და საკონსულტაციო ორგანოს - მრჩეველთა საბჭოს არსებობას.



საქსტატის საბჭო

საქსტატის საბჭო შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისაგან. საბჭოს სამი წევრი - საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები არიან. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს საქმიანობის წესი და პირობები განსაზღვრულია საქსტატის საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს დებულებით“.

საქსტატის საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
3. საქსტატის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
4. სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტების, კლასიფიკაციებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
5. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
6. საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
7. საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
8. საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
10. „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

საქსტატის საბჭოს შემადგენლობა



გიორგია თოდრაძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 13 ივლისი

2018 წლის მაისიდან საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე.

2018 წლის მაისიდან საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი.

2002 წლიდან მუშაობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2010-2016 წლებში იყო ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს უფროსი, ხოლო 2016 - 2018 წლებში აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. 2017 წლის ნოემბრიდან არის გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ბიზნეს სტატისტიკის ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ხოლო 2019 წლის მაისიდან, გაეროს სტატისტიკის კომისიის (UNSC) წევრი. 2020 წლის აგვისტოში აირჩიეს გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ.

გიორგია თოდრაძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის), ასევე სამართალმცოდნეობის მიმართულებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2006 წლიდან ფლობს ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხს.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.



ვახტანგ ციხცაძე

დაბადების თარიღი:

1986 წლის 28 იანვარი

2021 წლის ნოემბრიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2009 წლამდე მუშაობდა საფინანსო სექტორში, ხოლო 2009 წლიდან მუშაობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში სხვადასხვა პოზიციებზე, 2016 წლიდან ვახტანგ ციხცაძე იკავებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და რეფორმების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. ვახტანგ ციხცაძე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის დოქტორანტი. წარმატებით აქვს გავლილი ჯორჯ მარშალის ცენტრის „Leaders Program in Advanced Security Studies“ პროგრამა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) არაერთი ეკონომიკური კურსი. იგი აქტიურად მონაწილეობდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური შინაარსის რეფორმების შემუშავების პროცესში, მათ შორის: საპენსიო რეფორმის (მეორე სვეტი) კონცეფციის შემუშავება და რეფორმის ეკონომიკური ეფექტების შეფასება/ანალიზი; საჯარო და კერძო თანამშრომლობის კონცეფციის და ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავება; გადახდისუნარობის რეფორმის ფარგლებში ჩარჩო კანონმდებლობის შემუშავება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმების განვითარება - საკრედიტო საგარანტიო სქემის დიზაინის შემუშავება; ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმების განვითარება - ლიზინგის განვითარების კონცეფციის და ფაქტორინგის კანონმდებლობის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ფრიდონ ასლანიკაშვილი

დაბადების თარიღი:

1964 წლის 7 ივლისი



2011 წლის აპრილიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

1997 წლიდან მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე, 2017 წლის აპრილიდან არის მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. 2012-2017 წლებში იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის (GFSM 2014) მრჩეველთა საბჭოს წევრი. არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის ავტორი. არის საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

ფრიდონ ასლანიკაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



არჩილ მესტვირიშვილი

დაბადების თარიღი:

1972 წლის 16 სექტემბერი

2010 წლის თებერვლიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2009 წლის დეკემბრიდან – საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. ვიცე-პრეზიდენტი.

1998-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის წამყვან სპეციალისტად. 2002-2004 წლებში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და მონეტარული პოლიტიკის დეპარტამენტის მკვლევარ-ეკონომისტი, შემდეგ მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი. 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი. 2004-2005 წლებში მუშაობდა თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსად. 2005-2009 საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

არჩილ მესტვირიშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათემატიკის სპეციალობით. 2002 წელს დაამთავრა „ტემპლის“ (აშშ) უნივერსიტეტი, ეკონომიკის ფაკულტეტი. ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.

გიორგი მუხიგულიშვილი

დაბადების თარიღი:

1987 წლის 2 თებერვალი



2018 წლის დეკემბრიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2010 წლიდან მუშაობს WEG-ში ენერგეტიკის და მდგრადი განვითარების საკითხების მკვლევარად. მისი კვლევის არე მოიცავს ენერგოპოლიტიკისა და სტრატეგიის ანალიზს, ენერგეტიკის სისტემურ მოდელირებას, დაგეგმვას, მდგრადი განვითარების საკითხებს ენერგეტიკაში, ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგოპროექტების ეკონომიკურ და ფინანსურ ანალიზს, საქართველოსა და ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის ანალიზს. 2014 წლიდან კითხულობს ლექციებს ენერგეტიკის, ეკონომიკის, ევროკავშირის ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოლიტიკის, დანახარჯი-სარგებლის ანალიზის მიმართულებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2013 წლიდან გიორგი გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის დანართ I-ში შესული ქვეყნების ეროვნული ანგარიშების სერტიფიცირებული ექსპერტია. ის ასევე არის საქართველოს ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი.

გიორგი მუხიგულიშვილს მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხები ეკონომიკაში (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ISET) და საერთაშორისო ურთიერთობებში (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



მარინა (მაია) მინდორაშვილი

დაბადების თარიღი:

1960 წლის 27 ივნისი

2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

1986 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე, 1988-1993 წლებში იყო სტატისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, 1996-2006 წლებში ამავე კათედრის დოცენტი, ხოლო 2006 წლიდან ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორია. 2005-2009 წლებში მუშაობდა საქსტატში მეთოდოლოგიის, კოორდინაციისა და სტანდარტების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 2009-2010 წლებში - აღმასრულებელი დირექტორის აპარატში მრჩეველის თანამდებობაზე. 2016-2018 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრია.

მარინე მინდორაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის) მიმართულებით. 1988 წელს მიენიჭა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ირაკლი აფხაიძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 4 ივლისი



2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2016 წლიდან USAID პროექტის „ზრდა-აქტივობა საქართველოში“ მონიტორინგისა და შეფასების მენეჯერი.

2001-2011წლებში მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში სხვადასხვა თანამდებობაზე: 2001-2005 წლებში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამმართველოს მთავარ სპეციალისტად; 2005-2008 წლებში სოციალური სტატისტიკის სამმართველოს შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილების უფროსად; 2008-2011 წლებში ფონდი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, შინამეურნეობის გამოკვლევების კოორდინატორად. 2012 წლიდან დღემდე მუშაობს კომპანიაში ქემონიქს-საქართველო: 2012-2015 წლებში USAID პროექტი New Economic Opportunities (NEO) მონიტორინგისა და შეფასების მენეჯერად.

ირაკლი აფხაიძეს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ეკონომიკის (სტატისტიკის) მიმართულებით. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.



სიმონ გელაშვილი

დაბადების თარიღი:
1954 წლის 15 ნოემბერი

2018 წლის ივლისიდან საქსტატის საბჭოს წევრი.

2006 წლის ივლისიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი.

1978-1996 წლებში მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი) სხვადასხვა თანამდებობაზე (ეკონომისტის, სამმართველოს უფროსისა და თავმჯდომარის ეკონომიკური მრჩეველის პოზიციებზე). 1999-2001 წლებში იყო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სამეცნიერო-ინფორმაციული ცენტრის დირექტორი; 2000 წლის იანვრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის პროფესორია. 2001-2005 წლებში იყო საქართველოს სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი; 2005-2012 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

სიმონ გელაშვილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე სტატისტიკის სპეციალობით, ასპირანტურა და დოქტორანტურა - ასევე თსუ-ში და მოსკოვის საფინანსო-ეკონომიკურ ინსტიტუტსა და პოტსდამის უნივერსიტეტში (გერმანია). 1988 წელს მოიპოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1999 წელს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

გამოქვეყნებული აქვს 107 სამეცნიერო შრომა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე, მათგან 21 - საზღვარგარეთ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და ივანე ჯავახიშვილის მედლით.

ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

საქსტატის მრჩეველთა საბჭო

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებს საქსტატის საკონსულტაციო ორგანოს - საქსტატის მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირებას, რომლის წევრებსაც (არანაკლებ 8), საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი, ხოლო წევრობის კანდიდატების შერჩევა ხორციელდება სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, მათემატიკის ან მომიჯნავე დარგის სპეციალისტთა (პრაქტიკული ან მეცნიერული საქმიანობის გამოცდილების მქონე) შორის. დღეის მდგომარეობით მოქმედი მრჩეველთა საბჭო შედგება 14 წევრისაგან.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებს მიეკუთვნება:

1. საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით კონსულტაციის განწევა და კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების წარდგენა;
2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის პროექტის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
3. სტატისტიკურ საქმიანობაში გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ანალიზი და საქსტატის საბჭოსათვის წინადადებების მომზადება;
4. სტატისტიკური მეთოდების განხილვა, სტატისტიკური მეთოდოლოგიის სრულყოფასთან დაკავშირებით საქსტატის საბჭოსთვის კონსულტაციის განწევა ან/და წინადადებების წარდგენა;
5. საქსტატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
6. სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების მომზადება;
7. სტატისტიკის დარგის განვითარებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;
8. რესპონდენტებთან კომუნიკაციის მექანიზმებისა და მეთოდების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;
9. გამოუპასუხებლობის შემცირების ღონისძიებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

მრჩეველთა საბჭოს გადანყვეტილებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან

გოგიტა თოდრაძე

დაბადების თარიღი:

1980 წლის 13 ივლისი

2018 წლის მაისიდან საქსტატის
აღმასრულებელი დირექტორი,
საბჭოს თავმჯდომარე

დავით ნარმანია

დაბადების თარიღი:

1979 წლის 7 მარტი

თსუ-ს პროფესორი, მენეჯმენტის და
ადმინისტრირების კათედრის გამგე,
სემეკის თავმჯდომარე

ზაზა ბროლაძე

დაბადების თარიღი:

1974 წლის 2 აპრილი

2017 წლიდან პოლიტიკისა და
მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG)
გამგეობის წევრი

ზაზა ჟელიძე

დაბადების თარიღი:

1972 წლის 9 აპრილი

2015 წლიდან გაეროს სურსათის და
სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)
კონსულტანტი სტატისტიკის მიმართულებით

თამარ საბედაშვილი

დაბადების თარიღი:

1978 წლის 18 იანვარი

2018 წლის ივლისიდან გაეროს
ქალთა ორგანიზაციის (UN Women)
წარმომადგენლის მოადგილე

ნინო აბესაძე

დაბადების თარიღი:

1965 წლის 24 თებერვალი

2006 წლის სექტემბრიდან ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური
სტატისტიკის კათედრის ასოცირებული
პროფესორი

დემნა ძირკვაძე

დაბადების თარიღი:

1982 წლის 21 თებერვალი

2015 წლის ნოემბრიდან აშშ-ის
სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის
(სამინისტროს) წარმომადგენელი
საქართველოში

ლევან ვეფხვაძე

დაბადების თარიღი:

1974 წლის 4 ოქტომბერი

2019 წლიდან საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

ლაშა ლაბაძე

დაბადების თარიღი:

1985 წლის 4 მაისი

2016 წლიდან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

ლელა ბაქრაძე

დაბადების თარიღი:

1958 წლის 23 ნოემბერი

2014 წლის იანვრიდან გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

მიხეილ ჟელიძე

დაბადების თარიღი:

1976 წლის 8 აპრილი

2015 წლის იანვრიდან საქართველოს მცირე და საშუალო სანარმოთა ასოციაციის პრეზიდენტი

იოსებ ბერიკაშვილი

დაბადების თარიღი:

1985 წლის 20 სექტემბერი

2018 წლის მარტიდან შპს „კავკასიის უნივერსიტეტი“-ს ეკონომიკის სკოლის დეკანი

ოთარ ანგურიძე

დაბადების თარიღი:

1985 წლის 23 დეკემბერი

2015 წლის თებერვლიდან თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე

თამარ სულუხია

დაბადების თარიღი:

1968 წლის 1 იანვარი

2019 წლიდან არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისა (ISET) და ISET კვლევითი ინსტიტუტის (ISET-PI) დირექტორი



ორგანიზაციული სტრუქტურა და საშტატო განრიგი




თავი II

საქსტატის საშტატო განრიგი

აღმასრულებელ დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. საქსტატის სტრუქტურაში შედის 10 დეპარტამენტი (ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი, საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი, ბიზნეს სტატისტიკის დეპარტამენტი, ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი, სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიული სტატისტიკის დეპარტამენტი, სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი) და 11 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის ბიურო, აჭარის სტატისტიკის ბიურო, სამცხე-ჯავახეთის სტატისტიკის ბიურო, შიდა ქართლის სტატისტიკის ბიურო, ქვემო ქართლის სტატისტიკის ბიურო, სამეგრელო-ზემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო, იმერეთის სტატისტიკის ბიურო, კახეთის სტატისტიკის ბიურო, მცხეთა-მთიანეთის სტატისტიკის ბიურო, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სტატისტიკის ბიურო და გურიის სტატისტიკის ბიურო (**იხილეთ დანართი 1**).

საქსტატის საშტატო განრიგი დამტკიცებულია საქსტატის საბჭოს 2018 წლის 2 აგვისტოს №11 დადგენილებით.

საქსტატის სტრუქტურა



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული საშტატო განრიგი წარმოდგენილია დანართი 2-ის სახით.

საქსტატში საშუალო ხელფასი 2021 წელს **1721 ლ**

ჩვენი გუნდი



გიორგი თოდრაძე

აღმასრულებელი დირექტორი



კაკა შავიშვილი

აღმასრულებელი დირექტორის
მოადგილე



ლია ძეხისაური

აღმასრულებელი დირექტორის
მოადგილე



ბორის (ბათუ) ეზუზბაია

სტრატეგიული დაგეგმვის,
კოორდინაციისა და კომუნიკაციის
დეპარტამენტის უფროსი



მარიამ ყაველაშვილი

სტრატეგიული დაგეგმვის,
კოორდინაციისა და კომუნიკაციის
დეპარტამენტის უფროსის
მოადგილე, PR-მენეჯერი



ვასილ ნაჭაძე

სოციალური სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი



გიორგი სანაძე

სოფლის მეურნეობისა და
გარემოს სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი



გიორგი თეთრაული

ფასების სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე არაბული

ბიზნეს სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი



შორენა ჩიკლაური

მოსახლეობის აღწერისა და
დემოგრაფიული სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი



არჩილ ხვედელიძე

შიდა აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი



ლევან ქარსაულიძე

ეროვნული ანგარიშების
დეპარტამენტის უფროსი



მაკა კალანდარიშვილი

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური
ინვესტიციების სტატისტიკის
დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე ამბოკაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების
დეპარტამენტის უფროსი

შტატგარეშე თანამშრომლები

ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თავისებურებებიდან და სტატისტიკური გამოკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქსტატში დასაქმებულია შტატგარეშე თანამშრომელთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახორციელებს სხვადასხვა სახის სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვებას (საველე სამუშაოებს) და დამუშავებას.

სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევის განხორციელებისა და სხვა პარალელური ფუნქციების განხორციელების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, დაქირავებულ შტატგარეშე თანამშრომელთა რიცხოვნობა იცვლებოდა კვარტალების მიხედვით, ჩატარებული გამოკვლევებიდან გამომდინარე. შესაბამისად, წლის განმავლობაში მათი მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 720 ერთეულით.

აღნიშნული რაოდენობის შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 20 იანვრის №58 განკარგულების საფუძველზე.

კადრების შერჩევა

2021 წელს საქსტატში ადგილი ჰქონდა როგორც კადრების გადინებას, ისე მიღებას. საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევა ხორციელდებოდა კონკურსის საფუძველზე. წლის განმავლობაში საქსტატში გამოცხადებული იყო ღია კონკურსი შტატით გათ-

ვალისწინებულ 16 ვაკანტურ თანამდებობაზე. ვაკანტურ თანამდებობებზე განაცხადი შემოიტანა სულ 444 კანდიდატმა. კონკურსის ბოლო ეტაპზე (გასაუბრებაზე) მონვეული იყო 76 კანდიდატი. 2021 წელს კონკურსის შედეგად თანამდებობაზე დაინიშნა 8 კანდიდატი.



საქსტატის 2021 წლის ბიუჯეტი



თავი III

საქსტატის დაფინანსების
წყაროს წარმოადგენს:

სახელმწიფო ბიუჯეტი, გრანტები და შემოსავლები
ეკონომიკური საქმიანობიდან.

საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენდა 10 120 000 ლარს, გრანტის სახით მისაღები მიზნობრივი ფინანსური დახმარების გეგმა - 1 436 580 ლარს, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა - 200 000 ლარს.

2021 წლის საქსტატის შემოსავლების გეგმამ სულ შეადგინა 11 756 580 ლარი.

2021 წლის საქსტატის საკასო ხარჯების მოცულობამ შეადგინა 10 915 315 ლარი, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები - 9 981 246 ლარი, მიზნობრივი ფინანსური დახმარება (გრანტები) - 800 490 ლარი, საკუთარი სახსრების საკასო ხარჯი - 133 579 ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- **შრომის ანაზღაურება** – 4 434 595 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 4 129 855 ლარი, ჯილდო/პრემია - 304 740 ლარი);
- **საქონელი და მომსახურება** – 6 051 772 ლარი, მათ შორის:
 - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 4 853 721 ლარი, (მ.შ. თანამდებობრივი სარგო - 4 780 896 ლარი, ჯილდო/პრემია - 72 825 ლარი);
 - მივლინება - 24 283 ლარი;
 - ოფისის ხარჯი - 595 099 ლარი;
 - წარმომადგენლობითი ხარჯი - 6 520 ლარი;
 - სამედიცინო ხარჯი - 5 540 ლარი;
 - რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯი - 1 352 ლარი;
 - ტრანსპორტის ექსპლუატაცია - 139 139 ლარი;
 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 426 118 ლარი;
- **გრანტი** - 2 410 ლარი;
- **სოციალური უზრუნველყოფა** - 56 702 ლარი;
- **სხვა ხარჯები** - 27 271 ლარი;
- **არაფინანსური აქტივების ზრდა** - 342 565 ლარი.

საანგარიშო წლის განმავლობაში, „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, განხორციელდა დასაშვები ცვლილებები (გადანაწილება) საქსტატის ასიგნებებში.

ზემოთ აღნიშნულის შედეგად, საქსტატის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა-ხარჯი დაფინანსების წყაროების მიხედვით ჩამოყალიბდა ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის სახით:

საქსტატის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება
- საბიუჯეტო ასიგნებები (ლარი)

ორგანი- ზაციული კოდი	დასახელება	2021 წლის დამოკიდებული გეგმა	ცვლილება	2021 წლის დაფუტებული გეგმა	2021 წლის საკასო შესრულება	სხვაობა (5-6)	შესრუ- ლების % (6/5*100)
1	2	3	4	5	6	7	8
47 00	სსიპ-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)	10 120 000	0	10 120 000	9 981 245.8	138 754.2	99
	მომუშავეთა რიცხოვნობა	213		213	213		
	ხარჯები	10 020 000	-226 000	9 794 000	9 662 995.8	131 004.2	99
	შრომის ანაზღაურება	4 300 000	160 000	4 460 000	4 434 594.6	25 405.4	99
	საქონელი და მომსახურება	5 636 000	-391 000	5 245 000	5 164 272.4	80 727.6	98
	სოციალური უზრუნველყოფა	64 000	5000	69 000	56 701.9	12 298.1	82
	სხვა ხარჯები	20 000	0	20 000	7 426.9	12 573.1	37
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000	226 000	326 000	318 250	7 750	98
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5 570 000	406 000	5 976 000	5 878 112	97 888.1	98
	მომუშავეთა რიცხოვნობა	213		213	213		
	ხარჯები	5 470 000	180 000	5 650 000	555 9862	90 138.1	98
	შრომის ანაზღაურება	4 300 000	160 000	4 460 000	4 434 594.6	25 405.4	99
	საქონელი და მომსახურება	1 100 000	15 000	1 115 000	1 066 214.6	48 785.4	96
	სოციალური უზრუნველყოფა	50 000	5 000	55 000	51 625.8	3 374.2	94
	სხვა ხარჯები	20 000	0	20 000	7 426.9	12 573.1	37
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000	226 000	326 000	318 250	7 750	98
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	4 250 000	-377 000	3 873 000	3 837 543.9	35 456.1	99
	ხარჯები	4 250 000	-377 000	3 873 000	3 837 543.9	35 456.1	99
	საქონელი და მომსახურება	4 242 000	-377 000	3 865 000	3 833 373.9	31 626.1	99
	სოციალური უზრუნველყოფა	8 000	0	8 000	4 170	3 830	52
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	300 000	-29 000	271 000	265 590	5 410	98
	ხარჯები	300 000	-29 000	271 000	265 590	5 410	98
	საქონელი და მომსახურება	294 000	-29 000	265 000	264 683.9	316.1	100
	სოციალური უზრუნველყოფა	6 000	0	6 000	906.1	5 093.9	15
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0

**სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა
(საბიუჯეტო ასიგნებები) 4701**

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვისა და მართვის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 5 570 000 ლარს, დაზუსტებული - 5 976 000 ლარს, შესრულებამ შეადგინა - 5 878 112 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ია.

ეკონომიამ შეადგინა - 97 888 ლარი. აღნიშნული ეკონომია გამოიწვია საშტატო განრიგში არსებული ვაკანტური პოზიციების გამო შრომის ანაზღაურების მუხლის აუთვისებლობამ; დისტანციურ რეჟიმში მუშაობის გამო სოციალური უზრუნველყოფის მუხლის აუთვისებლობამ და სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების შედეგად მიღწეული ფასების კლებამ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შესაბამისი სტატისტიკური გამოკვლევების სამუშაოების დაგეგმვა, მართვა, წარმოება და მონაცემთა გავრცელება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

**სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა
(საბიუჯეტო ასიგნებები) 4702**

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 4 250 000 ლარს, დაზუსტებული - 3 873 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 3 837 544 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 99%-ს შეადგენს.

ეკონომიამ შეადგინა - 35 456 ლარი, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გამოკვლევების მიმდინარეობისას რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი (განსაკუთრებით შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევაში, სამუშაო ძალის გამოკვლევაში და სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევაში) უარს აცხადებდა გამოკვლევაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გარემოების გამო ვერ ხდებოდა გარკვეული მოცულობის თანხების ათვისება, რადგანაც ინტერვიუერთა შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია ერთეულ სრულ (გამოპასუხებულ) ინტერვიუზე. ამასთანავე, ქვეყანაში COVID-19 ვირუსის გავრცელების გამო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, შეჩერდა უცხოელ ვიზიტორთა და გამყვანი ტურიზმის გამოკვლევები.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სტატისტიკური სამუშაოების 2021 წლის პროგრამით გათვალისწინებული სტატისტიკური გამოკვლევების მომზადება, ჩატარება, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნება.


**მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა
(საბიუჯეტო ასიგნებები) 4703**

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 ლარს, დაზუსტებული - 271 000 ლარს. შესრულებამ შეადგინა 265 590 ლარი, რაც დაზუსტებული გეგმის 98%-ს შეადგენს.

ეკონომიამ შეადგინა - 5 410 ლარი, რაც გამოწვეულია სოციალური უზრუნველყოფის მუხლში არსებული ეკონომიით.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოებისთვის მზადება. კერძოდ, მიმდინარეობდა საერთაშორისო რეკომენდაციების განხილვა - ანალიზი, განხორციელდა ბიზნეს სუბიექტების კოორდინატების ბაზების განახლება, მიმდინარეობდა ციფრული გეოინფორმაციული რუკების განახლება GIS პროგრამაში.

**საქსტატის მიერ 2021 წელს
მიღებული მიზნობრივი
დაფინანსება (გრანტები) და
ტექნიკური დახმარება**



საქსტატის მიერ 2021 წლის განმავლობაში დონორ ორგანიზაციებთან გაფორმდა ორი საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო ორი საგრანტო ხელშეკრულება მოქმედებდა 2020 წლიდან.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების სახით, საკასო შემოსავალმა 2021 წელს შეადგინა 838 220 ლარი, ხოლო 99 554 ლარი არის 2020 წლის გარდამავალი ნაშთი.

გრანტებისა და მიზნობრივი დაფინანსების საკასო ხარჯები შეადგენს 800 490 ლარს.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

• საქონელი და მომსახურება – 773 765 ლარი,

მათ შორის:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 520 428 ლარი;

ოფისის ხარჯი – 44 089 ლარი;

სამედიცინო ხარჯი - 4 740 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 204 508 ლარი;

• გრანტები - 2 410 ლარი,

• არაფინანსური აქტივების ზრდა - 24 315 ლარი.

გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება
გამოყოფილი იყო შემდეგი მიზნებისთვის:



საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობის (UN Women) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება, სტატისტიკის გამოყენების არეალის გაფართოება და მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა ტრენინგები), დროის გამოყენების გამოკვლევის (Time Use Survey) ჩატარება, გენდერული სტატისტიკის პორტალის განახლება, სტატისტიკური პუბლიკაციის „ქალი და კაცი“ გამოცემა და მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა.



გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის (UNICEF) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა სტატისტიკის წარმოების გაუმჯობესება, სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა.


პროექტი შედგებოდა ორი კომპონენტისგან: **კომპონენტი I** - „მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის“ (MICS6) შერჩევაზე დაფუძნებული, ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში დაკვირვება (მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში); **კომპონენტი II** - „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისათვის“ და „მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის“ (MICS6) და სხვა მონაცემთა წყაროებზე დაფუძნებული სტატისტიკური პუბლიკაციის შემუშავება.



პროექტის **პირველი კომპონენტის** მიზანი იყო COVID-19-ის ზეგავლენის შეფასება ოჯახებსა და ბავშვებზე, მათ დასაქმებაზე და შემოსავლებზე. აგრეთვე სასურსათო უსაფრთხოების, მიგრაციის და ონლაინ სწავლების საკითხებზე, მათ შორის ოჯახების შესაძლებლობაზე ბავშვთა განვითარების საკითხებში ჩართულობასა და მათზე მზრუნველობის შესახებ.

პროექტის **მეორე კომპონენტის** მიზანს წარმოადგენდა ბავშვთა ინფორმირებულობა მათი უფლებების შესახებ, ასევე ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი ფორმებით, სტატისტიკურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალი ინტერაქტიული პორტალი ბავშვებისა და მოზარდებისთვის, სადაც სხვადასხვა ვიზუალური საშუალებების (ინფოგრაფიკა, ანიმაცია, ვიდეოგრაფიკა და ა.შ.) მეშვეობით, ბავშვებს და მოზარდებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ, გაიღრმავონ ცოდნა სტატისტიკის სფეროში, გაიუმჯობესონ ინფორმაციის სწორად აღქმისა და ანალიტიკური აზროვნების უნარები, იყვნენ უფრო მეტად ინფორმირებულები ბავშვთა უფლებების შესახებ და მიიღონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინდივიდუალური გადანყვეტილებები. პარალელურად გამოიცა სტატისტიკური პუბლიკაცია „ბავშვები და მოზარდები საქართველოში“, რომელიც აერთიანებს სტატისტიკურ მონაცემებს სხვადასხვა თემატიკის მიხედვით.



გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა საქსტატის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შესაძლებლობების განვითარება. პროექტი შედგებოდა რამდენიმე კომპონენტისაგან:



1. საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის გაუმჯობესება, რაც მოიცავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას და მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნას;
2. საქსტატის თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება, რაც გულისხმობდა მათ გადამზადებას და სწავლებას სხვადასხვა სტატისტიკურ პროგრამებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ადმინისტრირებასა და პროგრამირებაში;
3. საქსტატის ვებგვერდის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (შშმპ) სტატისტიკურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
4. ოფიციალური სტატისტიკის მიმართ სანდოობის განმტკიცება და საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა. ამ მიზნით, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის დაგეგმილი იყო ტრენინგების და სემინარების ჩატარება, ოფიციალური სტატისტიკის მიერ წარმოებული მაჩვენებლების შინაარსზე, გამოყენებულ მეთოდოლოგიებსა და სტანდარტებზე. კომპონენტი ასევე ითვალისწინებდა სტატისტიკური მონაცემების გავრცელებისა და გამოყენების გაუმჯობესებას.

შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) მიერ გამოყოფილი გრანტის მიზანს წარმოადგენდა: მომხმარებლებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება; სტატისტიკის წარმოების ეფექტური, თანამედროვე და უწყვეტი პროცესების შექმნა; სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარება.



პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქსტატის სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება და კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა.



გარდა ამისა, სასაქონლო გრანტის სახით, 2021 წლის განმავლობაში, ნატურალური ფორმით მიღებულია 186 436 ლარის ღირებულების ინვენტარი და ტექნიკა, მათ შორის: გაეროს

განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ გადმოცემულია 169 633 ლარის ღირებულების სერვერები, ხოლო ევროკავშირის პროგრამა TWINING-ის პროექტის მიერ - 16 803 ლარის ღირებულების ვიდეო-საკონფერენციო სისტემა.

საქსტატში 2020 წელს მოქმედი საგრანტო ხელშეკრულებების რეესტრი

ფულადი სახით მიღებული					
№	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2021 წელს სარეგისტრაციო-სტატისტიკის მონაცემების შედეგად (ლარი)
1	გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში (UN Women)	გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება და „დროის გამოყენების გამოკვლევა (Time Use Survey)“	10.07.2019-31.08.2022	221 811.80 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში	352 246
2	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა (UNICEF)	„ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში დაკვირვება (მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში) და სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისათვის“	07.08.2020-28.02.2022	284 200.00 ლარი	159 250
3	გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა (UNDP)	„საქსტატის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შესაძლებლობების განვითარება“	08.02.2021-13.12.2021	86 465.00 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში	285 680
4	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)	„საქსტატის IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და შესაძლებლობების განვითარება“	07.12.2021-30.09.2022	1 500 000.00 შვედური კრონის ექვივალენტი ლარში.	509 331

ნატურალური სახით მიღებული					
№	გრანტის გამცემი	გრანტის/მიზნობრივი პროგრამის დასახელება	საგრანტო ხელშეკრულების ვადა	საგრანტო ხელშეკრულების ღირებულება	2021 წელს მიღებული გრანტის ღირებულება (ლარი)
1	ევროკავშირი საქართველოსთვის (TWINNING)	დახმარება		16 802 ლარი	16 802
2	UNDP	დახმარება		169 632 ლარი	169 632

საქსტატის მიერ 2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატს უფლება აქვს მიიღოს შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელებიდან.

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 119 981 ლარს.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა საკასო შემოსავლებმა შეადგინა 150 392 ლარი, მათ შორის:

ა) 39 860 ლარი მიღებულია სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის სახით (ფასიანი ინფორმაცია).

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, საქსტატში შემოსულია 1998 ოფიციალური მოთხოვნა სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. აქედან 444 წერილის საფუძველზე განეულ იქნა ფასიანი მომსახურება, 1148 წერილის საფუძველზე გაიცა უფასო ინფორმაცია, 128 წერილზე მომხმარებელს მიეთითა მონაცემთა წყაროდ საქსტატის ვებ-გვერდი, 222 წერილი გაუქმდა განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, 11 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგანაც მოთხოვნილი იყო კონფიდენციალური მონაცემები, ხოლო 45 წერილით გათვალისწინებული მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა, რადგან საქსტატს არ გააჩნდა შესაბამისი ინფორმაცია.

2021 წლის განმავლობაში ფასიანი ინფორმაციის მიწოდებიდან შემოსული თანხა (39 860 ლარი) დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა - 26 861 ლარი (მიღებული თანხის 67.3%);
- ბიზნეს სტატისტიკა - 9 498 ლარი (23.8%);
- ფასების სტატისტიკა - 3 012 ლარი (7.6%);
- სოციალური სტატისტიკა - 386 ლარი (1%);
- ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა - 80 ლარი (0.2%);
- სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკა - 21 ლარი (0.1%).

ბ) 110 430 ლარი მიღებულია სხვადასხვა დამკვეთისთვის ჩატარებული სტატისტიკური გამოკვლევებისთვის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში. 2021 წლის განმავლობაში სულ გაფორმდა მსგავსი ტიპის ორი ხელშეკრულება:

№	პროექტის დამკვეთი	პროექტის დასახელება	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)	2021 წელს მიღებული დაფინანსება (ლარი)
1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	„ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნისა და განზრახვის შესწავლა“	02.08.2021-29.10.2021	104 430	104 430
2	გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)	ქვეყანაში არსებული სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის ადმინისტრაციული) მონაცემთა შეგროვებისა და გაეროს ბავშვთა ფონდისათვის (UNICEF) მიწოდება	01.08.2021-29.10.2021	6 000	6 000

გ) 102 ლარი შეადგენს კურსთაშორისი სხვაობებიდან მიღებულ შემოსავალს.

2021 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან, საქსტატის მიერ განუღმა საკასო ხარჯებმა სულ შეადგინა 133 579 ლარი. ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

• საქონელი და მომსახურება - 113 734 ლარი, მათ შორის:

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება - 94 500 ლარი;

ოფისის ხარჯი - 12 085 ლარი;

ტრანსპორტის ხარჯი - 3 075 ლარი;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 4 074 ლარი;

• სხვა ხარჯები (გადასახადები) - 19 845 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 136 793 ლარს.



2021 წელს განხორციელებული ცვლილებები



თავი IV

2021 წელს საქსტაბში განხორციელებული ცვლილებებისა და დანერგილი სიახლეების წარმოდგენა შესაძლებელია რამდენიმე ძირითად მიმართულებად:



მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება.



სტატისტიკის არეალის გაფართოება.



სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესება.



ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება.

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება და ხარისხის აუდიტი



მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არსებული მეთოდოლოგიების პერიოდული გადასინჯვა და არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფა, პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, მონაცემთა შეგროვების უფრო ეფექტური, თანამედროვე სისტემების დანერგვა და ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება.

მეთოდოლოგიის სრულყოფისა და ხარისხის მართვის სფეროს სამუშაოები მიმდინარეობდა 2018-2019 წლებში ჩატარებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის გლობალური შეფასებისა და ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების შესაბამისად. ადრე შემუშავებულ ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტს, 2021 წელს დაემატა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელთა მიზანია სტატისტიკური მონაცემების ხარისხის უზრუნველყოფა და ამ მიზნით გატარებული ღონისძიების შესახებ მომხმარებელთა ინფორმირება.

სტატისტიკური ინფორმაციის სწორი აღქმისა და ინტერპრეტირების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია მონაცემებთან ერთად მეტამონაცემების გავრცელება. მეტამონაცემებში სტანდარტის შესაბამისად არის აღწერილი სტატისტიკური პროცესები და მონაცემები, მათი წყაროები, გამოკვლევების ჩატარების დროს გამოყენებული მეთოდოლოგიები და კლასიფიკაციები, რაც ინფორმაციის მომხმარებლებს აძლევს მონაცემთა ხარისხის შეფასების შესაძლებლობას. მეტამონაცემების მომზადების პროცესის შემდგომი სრულყოფის მიზნით 2021 წელს მომზადდა „მეტამონაცემების მართვის სისტემის“ დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მეტამონაცემების მომზადების წესები და პროცედურები.



2021 წელს შემუშავდა აგრეთვე, სტატისტიკური გამოკვლევის ჩასატარებლად კითხვარის მომზადების სახელმძღვანელო დოკუმენტი. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა კითხვარის სტრუქტურა და ფორმატი, კითხვების სახეები, მათი ფორმულირება და მათზე რეაგირების კატეგორიები. დოკუმენტი დაეხმარება საქსტატის დარგობრივ დეპარტამენტებს სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად კითხვარების ოპტიმალური სახით მომზადებაში.

2021 წელს მომზადებული სხვა დოკუმენტებიდან აღსანიშნავია რესპონდენტებზე დატვირთვის შემცირების პოლიტიკის, სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკისა და შეცდომების გასწორების დოკუმენტები. აგრეთვე თვითშეფასების კითხვარი, რომელიც გამოყენებული იქნება სტატისტიკური პროცესების ხარისხის შესაფასებლად.

საბოლოო სტატისტიკური პროდუქტების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პირველად მონაცემთა ხარისხის მუდმივი შეფასება და მონიტორინგი. ამ მხრივ, საქსტატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ, წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სავსელე სამუშაოების შემოწმება, ცალკეული გამოკვლევების ფარგლებში.

მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება და ალტერნატიული წყაროების ძიება. ამასთან, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მონაცემთა მაღალი ხარისხი მიიღწევა გამოკვლევის შედეგების კომბინირებით ადმინისტრაციულ მონაცემებთან. ამ თვალსაზრისით, საქსტატმა წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ბიზნეს სტატისტიკის, სოციალური სტატისტიკისა და ეროვნული ანგარიშების მიმართულებით.

მონაცემების ხარისხისა და შესადარისობის უზრუნველყოფისთვის, ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციების და მათი ეროვნული ანალოგების დანერგვა. ამ მხრივ, 2021 წელს აღსანიშნავია „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების“ კლასიფიკატორის უახლესი ვერსიის (COICOP 2018) ეროვნული ანალოგის შემუშავება.

სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე არსებით გავლენას ახდენს ასევე, მონაცემთა შეგროვების თანამედროვე სისტემების არსებობა. ამ მიზნით, საქსტატმა სამუშაო დაიწყო და შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევებში დანერგა მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდი - პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუ



(CAPI). ჩატარება. გარდა ამისა, სამომხმარებლო ფასების გამოკვლევაში გრძელდებოდა სკანერული მონაცემების მიღება და დამუშავება. კერძოდ, დასრულდა პროდუქციის ბარ-კოდის (EAN code) COICOP-ზე გადამყვანის შემუშავება, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ეტაპს სკანერული მონაცემების გამოყენების თვალსაზრისით. სკანერული მონაცემების გამოყენება ინფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშებისას მნიშვნელოვნად გაზრდის მონაცემთა ხარისხს, მოცვასა და სანდოობას.

„2020–2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის“ შესრულების წლიური ანგარიში

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის № 585 დადგენილებით დამტკიცდა „2020–2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული პრიორიტეტული მიზნები, ამოცანები და მათი მიღწევისთვის განსახორციელებელი აქტივობები.

ზემოაღნიშნული სტრატეგიის მიზანია საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების ზოგადი ხედვის განსაზღვრა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ და საერთაშორისო საჭიროებებს; პასუხობს პოლიტიკის შემუშავებისათვის საჭირო მონაცემებზე მოთხოვნას; განსაზღვრავს სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს; უზრუნველყოფს სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების გონივრულობას და ფინანსური რესურსების განაწილებას; წარმოადგენს ჩარჩოს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის; მოიცავს მონაცემების წარმოების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.



სტრატეგია მოიცავს სამ ძირითად მიზანს:

I მიზანი: მომხმარებელთა საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება;

II მიზანი: სტატისტიკის წარმოების ეფექტური, თანამედროვე და მდგრადი პროცესების შექმნა;

III მიზანი: სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარება.



პირველი მიზანი მოიცავს 4 ამოცანას და მათი შესრულების 59 აქტივობას.

მეორე მიზანი მოიცავს 3 ამოცანას და მათი შესრულების 11 აქტივობას.

მესამე მიზანი მოიცავს 5 ამოცანას და მათი შესრულების 16 აქტივობას.

2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა შედგება 3 მიზნის, 12 ამოცანისა და 86 აქტივობისგან. თითოეული მათგანისთვის დადგენილია შედეგების შეფასების ინდიკატორები, ასევე საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები.

2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის 86 აქტივობიდან 75 აქტივობა შესრულდა სრულად, ხოლო დანარჩენი ნაწილობრივ.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდს დაემთხვა ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება, რომელიც ზოგიერთი აქტივობის სრულყოფილად განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა. ძირითადად ეს შეეხო აქტივობებს, რომელთა განხორციელება დაგეგმილი იყო საერთაშორისო სემინარების, ექსპერტთა ვიზიტების თუ სასწავლო პროგრამების ფარგლებში. ანალოგიური პრობლემის გამო ვერ განხორციელდა სხვადასხვა სოციალური აქტივობები. აქედან გამომდინარე 11 აქტივობა ბოლომდე ვერ განხორციელდა დაგეგმილ ვადებში, თუმცა მათგან 5 აქტივობა შესრულებულია 90 პროცენტით და 2022 წლის პირველ ნახევარში უკვე სრულად იქნება განხორციელებული. რაც შეეხება დანარჩენ 6 აქტივობას ისინი ასახულია სტრატეგიის განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმაში და შესრულდება ძირითადი სტრატეგიის სამოქმედო პერიოდის ბოლომდე.

2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დეტალური ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-გვერდზე.

სტატისტიკის არეალის გაფართოება



სტატისტიკის არეალის გაფართოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ახალი გამოკვლევების დაგეგმვა ან არსებულის მოდიფიკაცია, რომლის საფუძველზეც მოხდება ახალი ინდიკატორების წარმოება. 2021 წელს საქსტატის მიერ შეიქმნა სხვადასხვა სახის ახალი სტატისტიკური პროდუქტი და დაინერგა ახალი მაჩვენებლები, ასევე ჩატარდა ახალი გამოკვლევები. კერძოდ, 2021 წლიდან ბიზნეს სტატისტიკაში დაინერგა ახალი მაჩვენებლები:

- ✓ ტურიზმის სატელიტური ანგარიშები - რომელიც მოიცავდა შემდეგ მაჩვენებლებს:
 - უცხოელ ვიზიტორთა დანახარჯები;
 - ადგილობრივი ტურიზმის დანახარჯები;
 - გამყვანი ტურიზმის დანახარჯები;
 - შიდა ტურიზმის დანახარჯები;
- ✓ ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური ინდექსები;
- ✓ ბიზნეს სექტორში ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსები.



მნიშვნელოვანია ასევე დაუკვირვებადი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება, რაც შესაძლებელია სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევებისა და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე. ამ მიზნით, საქსტატმა 2021 წელს ჩაატარა დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევა ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სფეროებში, ხოლო 2022 წელს დაგეგმილია მსგავსი გამოკვლევის ჩატარება ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფეროში, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროში.

გარდა ზემოთქმულისა, 2021 წლიდან საფუძველი ჩაეყარა შემდეგ გამოკვლევებს, რომელთა ნაწილი აქამდე არ ტარდებოდა:

- ჩატარდა „ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის შეფასების“ გამოკვლევის II-VI ტაღების სავლე სამუშაოები. აღნიშნული გამოკვლევა დაფუძნებულია „მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის“ (MICS6) შერჩევაზე;
- დასრულდა „დროის გამოყენების გამოკვლევის“ სავლე სამუშაოები;
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ფარგლებში დამატებით გაანგარიშდა SDG-ის დამატებითი ინდიკატორები;
- გარემოს სტატისტიკის მიმართულებით გაანგარიშდა დამატებითი გარემოსდაცვითი ინდიკატორი.

2021 წლიდან ფასების სტატისტიკაში დაინერგა ახალი მაჩვენებელი - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი (Residential Property Price Index - RPPI). აღნიშნული ინდექსი ასახავს საცხოვრებელი უძრავი ქონების საბაზრო ფასების დროში ცვლილებას. RPPI მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მისი ძირითადი მომხმარებლები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი და კერძო დეველოპერები. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება აგრეთვე, ეროვნული ანგარიშების მიზნებისთვის და ხელს უწყობს როგორც უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას, ისე აღნიშნულ სექტორში შესაძლო რისკების შეფასებას.

საქართველოს სტატისტიკის სისტემა ევროპის საუკეთესო ოცეულში დასახელდა

2021 წელს ორგანიზაცია „Open Data Watch“-მა ღია მონაცემთა აღწერის (Open Data Inventory – ODIN) რიგით მეხუთე ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიოს ქვეყნების ოფიციალური სტატისტიკის სამსახურების შეფასება, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით, როგორცაა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, გამოყენებული მეთოდოლოგიების გამჭვირვალობა, მოცვის ხარისხი და მონაცემებზე ხელმისაწვდომობა.



ODIN-ის შეფასებით, 2020 წელს საქართველოს სტატისტიკის სისტემის საერთო შეფასებამ 69 ქულა შეადგინა. ამასთან, ქვეყნის რეიტინგი წინა შეფასებასთან შედარებით 8 პოზიციით გაუმჯობესდა და საქართველომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის, 39-დან 31-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ანგარიშის მიხედვით საქართველო რეიტინგით უსწრებს ევროკავშირის 12 ქვეყანას (იტალია, საფრანგეთი, ბელგია, პორტუგალია, რუმინეთი, უნგრეთი, ლუქსემბურგი, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი, ლატვია, მალტა) და ისტორიაში პირველად, ევროპის საუკეთესო ქვეყნების ოცეულში დასახელდა.

იმავე ანგარიშის თანახმად, საქართველო ასევე უსწრებს ისეთ განვითარებულ ქვეყნებს, როგორცაა იაპონია, გაერთიანებული სამეფო, ჩინეთი და ინდონეზია. ამასთან, ODIN-ის შეფასებით, საქართველოს სტატისტიკის სისტემა რეიტინგით ისეთი ქვეყნების დონეზეა, როგორცაა - ავსტრია, შვეიცარია და მექსიკა.

ODIN-ის დანიშნულებაა ოფიციალური სტატისტიკის მოცვისა და მასზე ხელმისაწვდომობის ობიექტური შეფასება, რომელიც ეფუძნება ღია მონაცემთა განსაზღვრებას. მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით მონაცემთა აღწერასა და ცვლილებების შეფასებას „Open Data Watch“ უკვე მეხუთე წელია ახორციელებს.

2021 წელს ღია მონაცემთა შეფასება 187 ქვეყანაში ჩატარდა, რამაც მოიცვა 22 სტატისტიკური კატეგორია და 65 მაჩვენებელი. შეფასების მიხედვით, საქართველო ლიდერობს რეგიონში და პირველ ადგილს იკავებს.

შეფასება მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის ძირითად მიმართულებებს, როგორცაა: ეროვნული ანგარიშები, მოსახლეობა და დემოგრაფია, დასაქმების, უმუშევრობის და ფასების სტატისტიკა, განათლება და ჯანდაცვა, გენდერული სტატისტიკა, სამართალდარღვევების სტატისტიკა, სიღარიბის მაჩვენებლები, სახელმწიფო ფინანსები, საგარეო ვაჭრობა, საგადასახდელო ბალანსი, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა და სხვ. თითოეული მაჩვენებლის მიხედვით შეფასების მეთოდოლოგია განთავსებულია „Open Data Watch“-ის ვებ-გვერდზე.

**სტატისტიკის
გამოყენების
გაუმჯობესება**



სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით, საქსტატის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ინტენსიური თანამშრომლობა მედიასთან, აქტიური დიალოგი მომხმარებლებთან და მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების შესწავლა-გაანალიზება.

ზემოთ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება ასევე ანალიტიკური საქმიანობის გაღრმავება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქსტატის მიერ წარმოებული მონაცემების გამოყენებას, აადვილებს დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესებს სხვადასხვა დონეზე და ამცირებს გავრცელებული ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციის რისკებს.

გასული წლების მსგავსად, 2021 წლის განმავლობაში, საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან. პანდემიის მიუხედავად იმართებოდა შეხვედრები, როგორც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან, ისე რესპონდენტებთან.





წლის განმავლობაში რეგულარულად ტარდებოდა თემატური სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან (როგორც პირისპირ, ისე ონლაინ რეჟიმში). ასევე, რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საქსტატის ხელმძღვანელობამ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის - „საქსტატის ინფრასტრუქტურის გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება“ ფარგლებში მიზნობრივ ჯგუფებთან ორ დღიანი 10 გასვლითი სამუშაო შეხვედრა ჩაატარა. თემატური შეხვედრები ჩატარდა ყველა მუნიციპალიტეტის მერთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (3 შეხვედრა), ასევე სახელმწიფო უწყებების (2 შეხვედრა), ბიზნეს სექტორის (1 შეხვედრა), სამეცნიერო სექტორისა (2 შეხვედრა) და მედიის (2 შეხვედრა) წარმომადგენლებთან.



ორ დღიანი სამუშაო შეხვედრისას, მონაწილეები გაეცნენ საქართველოს სტატისტიკის სისტემის განვითარების ძირითად მიმართულებებს, საქსტატის მიერ შემუშავებულ პროდუქტებს, განვითარებულ თანამედროვე სერვისებს და სამომავლო გეგმებს. ასევე, განიხილეს სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიური თავისებურებები და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები; იმსჯელეს სხვადასხვა სტატისტიკურ ინდიკატორებზე და მონაცემთა საჭიროებებზე.



გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, მედიის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ორ დღიანი ტრენინგი გენდერული სტატისტიკის შესახებ. მონაწილეები გაეცნენ არსებულ მაჩვენებლებს, მეთოდოლოგიებსა და მონაცემთა გავრცელების პლატფორმებს.



ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების, კოორდინაციის გაუმჯობესებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, იურიდიული დახმარების სამსახურთან, საქართველოს ბულალტერთა კავშირთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასა (ISET) და ISET კვლევით ინსტიტუტთან.



მონაცემთა გავრცელების სისტემა

სტატისტიკის გამოყენების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მონაცემთა გავრცელების თანამედროვე და ეფექტური სისტემების არსებობა.







2021 წელს კიდევ უფრო გაფართოვდა მონაცემთა გავრცელების საშუალებები და გაუმჯობესდა სხვადასხვა მიმართულებები, როგორცაა ინფოგრაფიკები, ვიდეორგოლები, GIF-ანიმაციები, ადვილად აღსაქმელი ცხრილები და თანამედროვე დიზაინის მქონე პრეს-რელიზები, რაც იძლევა ინფორმაციის მარტივად აღქმის შესაძლებლობას და მოსახერხებელია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისთვის. 2021 წელს საქსტატმა მოამზადა და გავრცელა 49 ინფოგრაფიკა და 73 ვიდეორგოლი.



2021 წლის განმავლობაში, ვიდეორგოლების განთავსება ხორციელდებოდა საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, Facebook-ის, Twitter-ის, LinkedIn-ის გვერდებსა და Youtube-ის არხზე.




საქსტატის ვებ-გვერდზე ყოველკვარტალურად ქვეყნდება ინფორმაცია კვარტალის განმავლობაში გავრცელებული სტატისტიკური პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხებისა და ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობის შესახებ.



წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა მედიის წარმომადგენლებთან. მედიამონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2021 წლის მანძილზე საქსტატი და სტატისტიკური მაცნებლების შესახებ ინფორმაცია მედიაში მოხსენიებული იყო შემდეგი რაოდენობით: ტელე-

ვიზია 1155, პრესა 381, რადიო 554, საინფორმაციო სააგენტო 3956. გარდა ამისა, 2021 წელს საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ ჩატარდა 16 საინფორმაციო ხასიათის ბრიფინგი და პრეს-კონფერენცია.



მომხმარებელთა გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინფორმაციის წარმოებისა და გავრცელების საკითხებზე მომხმარებელთა განწყობის შესწავლა, საქსტატის მუშაობის ხარისხის შეფასება და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება.

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ასევე მომხმარებელთა კომუნიკაციაში საქსტატის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

გამოკვლევა განხორციელდა საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, გაეროს¹ და მსოფლიო ბანკის² მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიების შესაბამისად. ის ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდით, ხოლო გენდერული სტატისტიკის მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასება ასევე განხორციელდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით.

გამოკვლევა 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდა და მოიცვა ყველა ინსტიტუციური სექტორი. რაოდენობრივ გამოკითხვას ექვემდებარებოდა 15 წლის და უფროსი ასაკის 600-მდე რესპონდენტი.

გამოკვლევის საფუძველზე განისაზღვრა მომხმარებელთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და საქმიანობის სფერო. შეფასდა ინფორმაციის გამოყენების სიხშირე, ჩამოყალიბდა ყველაზე ხშირად მოთხოვნილი მონაცემების რეიტინგი. გამოკვლევა ასევე იძლეოდა შესაძლებლობას დახასიათებულიყო საქსტატის საქმიანობა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და შეფასებულიყო მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი.

გამოკვლევამ მოიცვა რესპონდენტები დასაქმების სხვადასხვა სფეროების მიხედვით: ბიზნეს სექტორი, სახელმწიფო სექტორი, ადგილობრივი მმართველობა/თვითმმართველობა, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულება, კვლევითი, საკონსულტაციო (Think tank) ორგანიზაცია, მედია, საერთაშორისო და უცხოური ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი და ფიზიკური პირები.



გამოკვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა 98% კმაყოფილია საქსტატის მიერ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებითა და განეული მომსახურებით. გამოკვლევამ ასევე შესაძლებელი გახადა შეფასებულიყო სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთა შეხედულება, გასული 12 თვის განმავლობაში საქსტატის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. მომხმარებელთა 62%-ის შეფასებით, გასული წლის განმავლობაში საქსტატის მუშაობის ხარისხი გაუმჯობესდა, ხოლო 19%-ის შეფასებით - არ შეცვლილა.

გამოკვლევის შედეგები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე.

1 Recommendations for Promoting, Measuring and Communicating the Value of Official Statistics, UN, New York and Geneva, 2018

2 User Satisfaction Survey on the Quality and Use of Official Statistics for Informed Policy and Decision Making, WB, 2010, <https://www.worldbank.org/en/data/statistical-capacity-building/statistics-for-results-facility-catalytic-fundN05>

გავრცელებული პუბლიკაციები







ახალი პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება



2021 წელს საქსტატმა მომხმარებლებს რამდენიმე ახალი ინტერაქტიული ვებ-პორტალი შესთავაზა.

გადასახადების კალკულატორი

2021 წელს შეიქმნა და საქსტატის ვებ-გვერდზე განთავსდა გადასახადების კალკულატორი, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, გაიანგარიშოს მიღებული შემოსავლიდან რა ნაწილს იხდის ფიზიკური პირი არაპირდაპირი გადასახადების სახით, სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების შეძენის დროს და როგორ ნაწილდება აღნიშნული თანხები საბიუჯეტო სახსრებში.

გადასახადების კალკულატორი ითვალისწინებს ფიზიკური პირის მიერ გადახდილ საშემოსავლო გადასახადს და სხვადასხვა საქონლის თუ მომსახურების შეძენის დროს გადახდილ არაპირდაპირ გადასახადებს, როგორცაა დღგ და აქციზი.



საერთაშორისო შედარებების პორტალი

2021 წელს შეიქმნა საერთაშორისო შედარებების პორტალი, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, ერთ სივრცეში მოახდინოს ქვეყნების შედარება ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებისა და საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით. ვიზუალური ანალიზისთვის პორტალზე მონაცემებთან ერთად წარმოდგენილია ინტერაქტიული რუკა.

საერთაშორისო რეიტინგების ბლოკში წარმოდგენილია ბიზნესის კეთების რეიტინგები, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ადამიანის განვითარების ინდექსი და სხვადასხვა საკრედიტო რეიტინგები. გარდა ამისა, ცალკეული რეიტინგების მიხედვით, მოცემულია შეფასების კომპონენტები საქართველოსთვის.



ონლაინ ბიზნეს რეგისტრის განახლებული პორტალი

2021 წელს საქსტატმა საზოგადოებას ონლაინ ბიზნეს რეგისტრის განახლებული პორტალი წარუდგინა.

ონლაინ ბიზნეს რეგისტრის პორტალი აერთიანებს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა ეკონომიკურ სუბიექტს და იძლევა მათ შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობას. პორტალის მეშვეობით მომხმარებელს საშუალება აქვს მიიღოს ისეთი სახის ინფორმაცია, როგორიცაა: ეკონომიკური სუბიექტის ფაქტიური და იურიდიული მისამართი, ინფორმაცია დამფუძნებლებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების შესახებ, ნახოს კავშირი სხვადასხვა კომპანიების მესაკუთრეებსა და დამფუძნებლებს შორის და სხვა.

ონლაინ ბიზნეს რეგისტრის პორტალი ასევე მოიცავს ინფორმაციას ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის სახეების შესახებ, NACE Rev.2 კლასიფიკატორის მიხედვით, როგორც ქვეყნის დონეზე, ისე რეგიონულ და მუნიციპალურ ქრისტში.



გენდერული სტატისტიკის პორტალი

2021 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად აგრძელებდა გენდერული სტატისტიკის პორტალის განვითარებას და სრულყოფას. პორტალზე განახლდა არსებული მაჩვენებლები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები, ინფოგრაფიკები, ასევე განთავსდა განახლებული პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში, 2021“, რომელშიც წარმოდგენილია დამატებითი მაჩვენებლები სამუშაო ძალის, ჯანდაცვის და სპორტის სტატისტიკის მიმართულებებით.



საქსტატის ვებ-გვერდის ადაპტირება შშმ პირებზე

2021 წელს UNDP-ს პროექტის („საქსტატის ინფრასტრუქტურის გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება“) ფარგლებში განხორციელდა საქსტატის ვებ-გვერდის ადაპტირება უსინათლო, მცირემხედველ და სმენადაქვეითებულ პირებზე. კერძოდ, დაემატა კონტრასტის ცვლილების, ასევე შრიფტის გადიდების, დაპატარავებისა და ტექსტის გახმოვანების ფუნქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გარდა ამისა განხორციელდა მეთოდოლოგიური ვიდეო რგოლების თარგმნა სურდო თარჯიმნის (ჟესტების ენა) საშუალებით, რაც უფრო ფართო აუდიტორიის მოცვის საშუალებას იძლევა.

შშმ პირებზე ადაპტირებული საქსტატის განახლებული ვებ-გვერდი სრულად უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების თანაბარ წვდომას სტატისტიკურ ინფორმაციაზე, მათ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს შშმ პირებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებაში.



საქსტატის 102 წლის იუბილე



2021 წლის 25 ივლისს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაარსებიდან 102-ე საიუბილეო წელი აღნიშნა. იუბილეზე უწყებამ წარმატებული და ღვანღმოსილი თანამშრომლები, ინფორმაციის მომწოდებელი საუკეთესო ბიზნეს კომპანიები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციები, სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა.

საქსტატის ხელმძღვანელმა დამსწრე საზოგადოებას, გასული წლის განმავლობაში, საქსტატში განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი პროექტები გააცნო. მან ასევე ისაუბრა საქსტატის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, მათი გადაჭრის შესაძლო გზებზე და მიმდინარე აქტივობებზე.

ქვეყნის პირველი სტატისტიკის სამსახური 1919 წლის 25 ივლისს შეიქმნა. შესაბამისად აღნიშნული თარიღი საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების დაწყებას უკავშირდება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

102 წელი

ქვეყნის წამსახურში!

www.geostat.ge

**2021 წელს გადადგმული
მნიშვნელოვანი
ნაბიჯები**



გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე და აქტივობა, რომელიც განხორციელდა საქსტატის მიერ 2021 წლის განმავლობაში, კერძოდ:

- შემუშავდა გენდერული სტატისტიკის 2021-2023 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია გენდერული სტატისტიკის განვითარების ზოგადი ხედვა. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ეროვნულ და საერთაშორისო საჭიროებებს; პასუხობს პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემებზე მოთხოვნას; განსაზღვრავს გენდერული სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს; უზრუნველყოფს სტატისტიკური ღონისძიებების ჩატარების გონივრულობას და ფინანსური რესურსების განაწილებას; მოიცავს მონაცემების წარმოების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.



- გაანგარიშდა სამუშაო ძალის სტატისტიკის დამატებითი ინდიკატორები.კერძოდ: არასრული დასაქმებისა და უმუშევრობის კომბინირებული დონე, უმუშევრობისა და პოტენციური სამუშაო ძალის კომბინირებული დონე და არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე.



მედიანური ხელფასის გაანგარიშება

2021 წლის განმავლობაში საქსტატში აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები ადმინისტრაციული მონაცემების საფუძველზე მედიანური ხელფასის გაანგარიშების მიმართულებით. განხორციელდა არსებული ადმინისტრაციული მონაცემების დამუშავება და შეფასებული იქნა მედიანური ხელფასის გაანგარიშების შესაძლებლობები. საქსტატი აღნიშნულ მაჩვენებელს 2022 წელს გაავრცელებს, რაც ასახულია 2022 წლის სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამაში.

შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის გაანგარიშების შესაძლებლობების შეფასება

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური დახმარებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის (Gender Pay Gap – GPG) მაჩვენებლის გასაანგარიშებლად. საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით გაანალიზდა არსებულ მონაცემთა წყაროები და შემუშავდა მეთოდოლოგია. აღნიშნული მაჩვენებლის გავრცელება დაგეგმილია 2022 წელს.



მონაცემთა ალტერნატიული წყაროების (BIG DATA) დანერგვის შესაძლებლობების შეფასება

2019 წელს გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) მხარდაჭერით დაიწყო მონაცემთა ალტერნატიული წყაროების (Big Data) დანერგვის შესაძლებლობების შეფასება, მიგრაციისა და ტურიზმის სტატისტიკის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2021 წლის განმავლობაში საქსტატი აქტიურად მონაწილეობდა გაეროს მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში.



დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორის (COICOP 2018) ეროვნული ვერსიის შემუშავება

ფასების სტატისტიკაში 2024 წლისთვის დაგეგმილია დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორის უახლესი ვერსიის (COICOP 2018) დანერგვა. აღნიშნული აქტივობა ასახულია სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიაშიც. ამ მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, განხორციელდა კლასიფიკატორის საერთაშორისო ვერსიის თარგმნა და შესრულდა რიგი აქტივობები, ეროვნული კლასიფიკატორის მისაღებად.

დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი (COICOP) წარმოადგენს საერთაშორისო სახელმძღვანელოს, შინამეურნეობების დანახარჯების კლასიფიცირებისთვის. COICOP-ის მიზანია საქონლისა და მომსახურების ერთგვაროვანი კატეგორიების ჩარჩოს შექმნა, შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯების ფუნქციის ან დანიშნულების მიხედვით. ამ ეტაპზე საქსტატი იყენებს კლასიფიკატორის 1999 წლის ვერსიას. COICOP 2018 წარმოადგენს აღნიშნული კლასიფიკატორის პირველ განახლებას. წინა ვერსიასთან შედარებით ის არის უფრო დეტალური და მაქსიმალურად პასუხობს მომხმარებელთა საჭიროებებს.

მოკლევადიანი სტატისტიკის მარჯვენალების წარმოება

2021 წელს, საქსტატიმა ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური და ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსების გაანგარიშება დაიწყო.

აღნიშნული ინდექსების გაანგარიშება წარმოადგენს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის 2020-2023 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ ერთ-ერთ აქტივობას, რომელიც მიმდინარეობდა ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის ფარგლებში.

ბრუნვის მოცულობის ინდექსის გაანგარიშება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო ნამუშევარი საათების ინდექსების წარმოება მიმდინარეობს საქსტატის მიერ ორგანიზებული კვარტალური გამოკვლევის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული ინდექსების გაანგარიშება ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთან, გაანგარიშების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ დანიის და ფინეთის სტატისტიკის სამსახურების ექსპერტები.



ტურიზმის სატელიტური ანგარიშების წარმოება

2021 წლიდან საქსტატმა ტურიზმის სატელიტური ანგარიშების წარმოება დაიწყო, რომელიც წარმოადგენს სტანდარტულ სტატისტიკურ ჩარჩოს და ტურიზმის ეკონომიკური ეფექტების გაზომვის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს. იგი შემუშავებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), ევროსტატისა და გაეროს სტატისტიკის სამმართველოს მიერ.

ტურიზმის სატელიტური ანგარიშები წარმოადგენს ტურიზმის სტატისტიკის ჰარმონიზაციისა და შეჯერების შესაძლებლობას და აერთიანებს 10 ძირითად ცხრილს:

უცხოელ ვიზიტორთა დანახარჯები	ადგილობრივი ტურიზმის დანახარჯები	გამყვანი ტურიზმის დანახარჯები	შიდა ტურიზმის დანახარჯები	ტურისტული ინდუსტრიების საწარმოო ანგარიშები
მთლიანი დამატებული ღირებულება და მთლიანი შიდა პროდუქტი	დასაქმება	ინვესტიციები	სახელმწიფო მოხმარება	არაფულადი მაჩვენებლები

საქართველოში ტურიზმის სატელიტური ანგარიშების პირველი ოთხი ცხრილის შემუშავება გათვალისწინებული იყო ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის ფარგლებში, რომელიც საქსტატმა დანიის სტატისტიკის სამსახურთან ერთად განახორციელა. პროექტის ფარგლებში საქსტატი აქტიურად თანამშრომლობდა ასევე ჩეხეთის სტატისტიკის სამსახურთან და საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციასთან, რამაც უზრუნველყო საქართველოში ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შესაბამისი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება.

მომდევნო წლების განმავლობაში დაგეგმილია ასევე დანარჩენი ცხრილების შედგენა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის სრულყოფილი სატელიტური ანგარიშების წარმოებას და მის შემდგომ განვითარებას.



მომსახურებით სართაშორისო ვაჭრობის გამოკვლევა

2021 წლიდან მომსახურებით სართაშორისო ვაჭრობის გამოკვლევამ რეგულარული ხასიათი მიიღო. გამოკვლევა წარმოადგენს საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიით განსაზღვრულ ერთ-ერთ აქტივობას, რომელიც მიმდინარეობდა ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის ფარგლებში და მოიცავს არაფინანსური კორპორაციების სექტორს. გამოკვლევის შედეგად ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მომსახურების ექსპორტის და იმპორტის შესახებ ქვეყნების და მომსახურების სახეების მიხედვით.

2021 წელს განხორციელებული პროექტები

2021 წელს საქსტატის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია:

დროის გამოყენების გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) წარმომადგენლობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2020 წლის სექტემბრიდან დაიწყო „დროის გამოყენების გამოკვლევის“ სავლე სამუშაოები.

მონაცემთა შეგროვება გრძელდებოდა ერთი წლის განმავლობაში. გამოკვლევაში მონაწილეობდა მთელი ქვეყნის მასშტაბით 3 680 შინამეურნეობა.



გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება და დროის გამოყენების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება გენდერულ ჭრილში, რაც პირველ რიგში გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობებზე დახარჯული დროის შესახებ, მათ შორის: ანაზღაურებად და არაანაზღაურებად შრომაზე, შინამეურნეობებში განხორციელებულ არაანაზღაურებად სამუშაოებზე, საოჯახო საქმეებზე, ბავშვის მოვლაზე, მგზავრობაზე, დასვენებაზე და ა.შ.

გამოკვლევის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება დასახლების ტიპის, სამუშაო ძალის სტატუსისა და განათლების დონის მიხედვით.

ამჟამად საქსტატში მიმდინარეობს გამოკვლევის შედეგად მიღებული პირველადი მონაცემების დამუშავება. გამოკვლევის საბოლოო შედეგები ხელმისაწვდომი იქნება 2022 წელს.

გამოკვლევის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო დონეზე შესადარისი დროის გამოყენების მონაცემების წარმოება;
- საქართველოს გენდერული სტატისტიკის განვითარება;
- მდგრადი განვითარების მიზნის ინდიკატორისათვის მონაცემების შეგროვება;
- გენდერული თანასწორობის განმტკიცებაზე ორიენტირებული პოლიტიკისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

რეალურ დროში მონაცემთა მონიტორინგი (RTM)/მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის დამატება (MICS PLUS)

საქსტატსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, გაგრძელდა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS6) შერჩევაზე დაფუძნებული გამოკვლევა - „ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში დაკვირვება“. გამოკვლევა მრავალეტაპიანი იყო და თითოეული ტალღის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა და სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების მიხედვით. 2021 წელს განხორციელდა გამოკვლევის II-VI ტალღების საველე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავდა და გავრცელება.



ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის გამოკვლევა

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, „ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში სამუშაო ძალასა და უნარებზე არსებული მოთხოვნის და სამომავლო განზრახვის“ - გამოკვლევა, რომელიც ითვალისწინებდა რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორში სამუშაო ძალასა და უნარებზე როგორც არსებული მოთხოვნის,



ასევე სამომავლო განზრახვის შესწავლას, რომლის მიხედვითაც გაანალიზდება შემდეგი სამი ძირითადი ასპექტი, კერძოდ, არსებული და მომავალი ხუთი წლიან პერიოდში: ა. მოცემულ ორ სექტორში სამუშაო ძალაზე მოთხოვნა; ბ. დასაქმების ცვლილება და გ. არსებული სამუშაო ძალის ახლით ჩანაცვლების საჭიროებები. კვლევა ხელს შეუწყობს ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და მოთხოვნა-მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას.

საქსტატი და COVID-19



ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული რისკების თავიდან აცილების მიზნით, საქსტატი 2021 წლის განმავლობაშიც აგრძელებდა მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მეთოდების გამოყენებას. აღნიშნული ითვალისწინებდა ცალკეული გამოკვლევის ფარგლებში (შინამეურნეობათა და სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა), პირდაპირი ინტერვიუების მეთოდის ჩანაცვლებას სატელეფონო და ონლაინ გამოკითხვის მეთოდებით.

ამასთან, საერთაშორისო და ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციების შესაბამისად, საქსტატის თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი 2021 წლის განმავლობაში მუშაობდა დისტანციურად.

2021 წელს საქსტატში განხორციელებული ცვლილებები დეპარტამენტების მიხედვით

ეროვნული ანგარიშები

2021 წლის განმავლობაში ეროვნული ანგარიშების მიმართულებით საქსტატში ადგილი ჰქონდა შემდეგ ცვლილებებს:

1
განხორციელდა რესურსებისა და გამოყენების ცხრილების დეტალიზება და მისი შედგენის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება. შეიქმნა რესურსებისა და გამოყენების ცხრილები მუდმივ ფასებში. აღნიშნული ცხრილების საფუძველზე ჩამოყალიბდა დანახარჯები-გამოშვების ცხრილი, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დარგთაშორისი კავშირების და სხვა ეკონომიკური პროცესების ანალიზისთვის.

2
განხორციელდა სექტორული ანგარიშების ექსპერიმენტული გაანგარიშება, რაც ითვალისწინებს ექვსი ანგარიშის (1. წარმოების ანგარიში; 2. შემოსავლების ფორმირების ანგარიში; 3. პირველადი შემოსავლების განაწილების ანგარიში; 4. შემოსავლების მეორადი განაწილების ანგარიში; 5. განკარგვადი შემოსავლის გამოყენების ანგარიში; 6. კაპიტალის ანგარიში.) ჩამოყალიბებას ხუთი ინსტიტუციური სექტორისთვის: 1. არაფინანსური კორპორაციები; 2. ფინანსური კორპორაციები; 3. სახელმწიფო მმართველობა; 4. შინამეურნეობები; 5. შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები.

3
დაუკვირვებადი ეკონომიკის შესაფასებლად ჩატარდა სპეციალური გამოკვლევები ტრანსპორტისა და ჯანდაცვის სფეროში.

4
განხორციელდა კვარტალური მთლიანი შიდა პროდუქტის სეზონური შესწორება.

5
დაიწყო მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენის მეთოდოლოგიური აღწერილობის მომზადება.




ფასების სტატისტიკა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი

განხორციელდა 2022 წლის სამომხმარებლო კალათის წონების განახლება, ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების დანახარჯების უახლესი სტრუქტურის შესაბამისად. 2021 წელთან შედარებით, სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა არ შეცვლილა და იგი კვლავ 305 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგება;

2022 წლის სამომხმარებლო კალათის წონები.



დასრულდა ახალი ინდიკატორის - სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის (Harmonized Index of Consumer Prices - HICP) დანერგვის მოსამზადებელი სამუშაოები. აღნიშნული ინდიკატორი, ძირითადად, გამოიყენება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ინფლაციის შესადარისი, ჰარმონიზებული მაჩვენებლის გაანგარიშების მიზნით, ხოლო საქართველოში მისი დანერგვა, ევროკავშირის მეთოდოლოგიასთან და სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. HICP გამოქვეყნება დაგეგმილია 2022 წლის თებერვლიდან.



მწარმოებელთა ფასების ახალი ინდექსები



2021 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების ჩართულობით, მიმდინარეობდა მწარმოებელთა ფასების ახალი ინდექსების (სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი; მწარმოებელთა ფასების ინდექსი დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობისთვის) დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი

საქსტატმა დაასრულა მუშაობა ახალი სტატისტიკური ინდიკატორის - საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის (Residential Property Price Index – RPPI) დანერგვის მიმართულებით. 3-წლიანი მუშაობის შედეგად, ახალი ინდექსის გამოქვეყნება დაიწყო 2021 წლის აპრილიდან, კვარტალური პერიოდულობით. RPPI ასახავს საცხოვრებელი უძრავი ქონების საბაზრო ფასების დროში ცვლილებას. ის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. მაჩვენებლის ძირითადი მომხმარებლები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო დეველოპერები და მკვლევარები. აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება აგრეთვე, ეროვნული ანგარიშების მიზნებისთვის და ხელს უწყობს როგორც უძრავი ქონების ბაზრის განვითარებას, ისე აღნიშნულ სექტორში შესაძლო რისკების შეფასებას.

ინდექსთან ერთად შემუშავებულ იქნა მისი გაანგარიშების ეროვნული მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოც, რომელიც განთავსდა საქსტატის ვებ-გვერდზე.



საერთაშორისო შედარების პროგრამა

წლის განმავლობაში საქსტატი მონაწილეობდა საერთაშორისო შედარების პროგრამის (International Comparison Program – ICP) 2021 წლის რაუნდში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა რამდენიმე გამოკვლევა:

სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფასების სტატისტიკური გამოკვლევა

მშენებლობისთვის საჭირო რესურსების ფასების გამოკვლევა

საინვესტიციო საქონლის ფასების გამოკვლევა

საბინაო მომსახურებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოკვლევა

სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი საჯარო მომსახურების გამოკვლევა

განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების გამოკვლევა

აღნიშნული პროგრამა მსოფლიო ბანკის დახმარებით ხორციელდება და მოიცავს მსოფლიოს 200-მდე ქვეყანას. მისი მიზანია პროგრამაში მონაწილე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის შედარება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გათვალისწინებით.



საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა

განგარიშდა და საქსტატის ვებ-გვერდზე გავრცელდა საგარეო ვაჭრობის კვარტალური ინდექსები (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით; აღნიშნული მონაცემების წარმოება განსაზღვრული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით და საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგიით. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის ერთეულის ღირებულების ინდექსების წარმოება წარმოადგენდა ევროკავშირის „Twinning“-ის პროექტის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების განვითარება“ ერთ-ერთ ქვეკომპონენტს;



განხორციელდა სარკისებური შედარება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში. ევროკავშირის „Twinning“-ის პროექტის ფარგლებში, დანიელი ექსპერტების დახმარებით ჩატარდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის ამსახველი მონაცემების დეტალური ანალიზი ექვსი პარტნიორი ქვეყნის (ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, გერმანია, რუმინეთი)



და მათთან დაკავშირებული უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით. შედეგად მომზადდა და გამოქვეყნდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარების ანგარიში. სარკისებური შედარების განხორციელება ასევე განსაზღვრული იყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემები დამუშავდა და გამოქვეყნდა სანარმოთა ასაკის მიხედვით, რაც განსაზღვრული იყო საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგიით;

2021 წლიდან მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის გამოკვლევამ მიიღო რეგულარული ხასიათი.

ბიზნეს სტატისტიკა

ტურიზმის სატელიტური ანგარიშების მომზადების უზრუნველსაყოფად, ცვლილებები შევიდა გამყვანი ტურიზმის, ადგილობრივი ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკური გამოკვლევების კითხვარებში;

განხორციელდა ტურიზმის სატელიტური ანგარიშების 1-4 ცხრილების მომზადება ექსპერიმენტალური მეთოდოლოგიის გამოყენებით;

განხორციელდა მოკლევადიანი სტატისტიკის წინასწარი მაჩვენებლების - ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური და ბიზნეს სექტორში ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსების გაანგარიშება;

ტრანსპორტის სტატისტიკის სრულყოფის მიზნით განისაზღვრა დამატებითი მაჩვენებლები და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;

შეიქმნა სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის ახალი, გაუმჯობესებული მოდელი. ამასთან:

- დაინერგა ორგანიზაციის შესაბამისი ინსტიტუციური სექტორის ავტომატური განსაზღვრის მექანიზმი;
- დაიწყო ქართული კომპანიების უცხოური ფილიალების შესახებ ინფორმაციის მოძიება/შეგროვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე, 2020 წლის აპრილიდან 2021 წლის ბოლომდე შეჩერებული იყო უცხოელ ვიზიტორთა და გამყვანი ტურიზმის სტატისტიკური გამოკვლევების სავსე სამუშაოები. აღნიშნულ პერიოდში მონაცემი ვრცელდებოდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული საზღვრის კვეთის მონაცემების საფუძველზე. 2022 წლიდან აღნიშნული გამოკვლევები განახლდა.

სოციალური სტატისტიკა

- ▶ საქსტატსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, გაგრძელდა ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის შეფასების გამოკვლევა. აღნიშნული გამოკვლევა მრავალეტაჰიანი იყო, რომლის ფარგლებშიც მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების მიხედვით. ის დაფუძნებული იყო მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS6) შერჩევაზე და თითოეული ტალღის ფარგლებში ითვალისწინებდა ინფორმაციის შეგროვებას 2118 შინამეურნეობიდან. 2021 წელს განხორციელდა გამოკვლევის II-VI ტალღის საველე სამუშაოები, დამუშავდა მონაცემები და საქსტატის ვებ-გვერდზე გავრცელდა I-V ტალღების შედეგები;




შიც მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა სოციალური მახასიათებლების მიხედვით. ის დაფუძნებული იყო მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევის (MICS6) შერჩევაზე და თითოეული ტალღის ფარგლებში ითვალისწინებდა ინფორმაციის შეგროვებას 2118 შინამეურნეობიდან. 2021 წელს განხორციელდა გამოკვლევის II-VI ტალღის საველე სამუშაოები, დამუშავდა მონაცემები და საქსტატის ვებ-გვერდზე გავრცელდა I-V ტალღების შედეგები;

- ▶ 2021 წელს საქსტატმა დაიწყო სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილის და სიღარიბის საერთაშორისო ზღვრების მაჩვენებლების გავრცელება;
- ▶ 2021 წელს დანიის სტატისტიკის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ ინიცირებული Twinning-ის პროექტის ფარგლებში, განხორციელდა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის მეთოდოლოგიისა და შესაბამისი კითხვარების შეფასება და გადასინჯვა. პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაძლებლობების შესწავლის დოკუმენტი, სადაც აღწერილია შეფასების შედეგები და განსაზღვრულია ცხოვრების დონის სტატისტიკის ახალი მაჩვენებლების წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- ▶ 2021 წლიდან შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევაში დაინერგა მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდი - პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუს (CAPI) ჩატარება.



- ▶ დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკაში დაინერგა არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დამატებითი მაჩვენებლები (არასრული დასაქმებისა და უმუშევრობის კომბინირებული დონე, უმუშევრობისა და პოტენციური სამუშაო ძალის კომბინირებული დონე და არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის დონე);

- ▶ 2021 წლიდან სამუშაო ძალის გამოკვლევაში დაინერგა მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდი - პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით პერსონალური ინტერვიუს (CAPI) ჩატარება;
- ▶ 2021 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა სამუშაოები, ადმინისტრაციული მონაცემების საფუძველზე, მედიანური ხელფასის გაანგარიშების მიმართულებით. განხორციელდა არსებული ადმინისტრაციული მონაცემების დამუშავება და შემუშავდა მეთოდოლოგია. საქსტატი აღნიშნულ მაჩვენებელს გაავრცელებს 2022 წელს;



▶ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ტექნიკური დახმარებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის (Gender Pay Gap – GPG) მაჩვენებლის გასაანგარიშებლად. ექსპერტის ჩართულობით გაანალიზდა არსებულ მონაცემთა წყაროები და შემუშავდა მეთოდოლოგია. საქსტატი აღნიშნულ მაჩვენებელს გაავრცელებს 2022 წელს;

- ▶ დაიწყო სპორტის სტატისტიკის მაჩვენებლების გავრცელება;
- ▶ გავრცელდა ჯანდაცვის სტატისტიკის 3 ახალი მაჩვენებელი;
- ▶ გავრცელდა კულტურის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლები მუზეუმებსა და თეატრებში დასაქმებულთა რიცხოვნობის შესახებ;
- ▶ დაიწყო დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გავრცელება;
- ▶ მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების გაფართოების მიზნით. კერძოდ,
- ▶ განხორციელდა საქსტატის ვებ-გვერდის ადაპტირება შშმ პირებისთვის;
- ▶ შეიქმნა მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი („შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული რიგი ვალდებულებების/აქტივობების დროულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველსაყოფად);
- ▶ დამტკიცდა 2021 და 2022 წლების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წლიური სამოქმედო გეგმები;
- ▶ შესრულდა 2021 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წლიური სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები, კერძოდ განხორციელდა შშმ პირთა შესახებ არსებული ადმინისტრაციული წყაროებისა და მაჩვენებლების იდენტიფიცირება. 2022 წლის სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამას დაემატა განათლების და ჯანდაცვის სტატისტიკის მიმართულებებით შშმ პირთა შესახებ ახალი მაჩვენებლები.

გენდერული სტატისტიკა



საქსტატმა 2021 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა გენდერული სტატისტიკის განვითარებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების თვალსაზრისით. კერძოდ:

- საქსტატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2020 წლის სექტემბრიდან დაიწყო „დროის გამოყენების გამოკვლევის“ სავსელე სამუშაოები, რომელიც გრძელდებოდა ერთი წლის განმავლობაში და დასრულდა 2021 წლის სექტემბერში. გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს ქალებისა და კაცების მიერ სხვადასხვა აქტივობებზე დახარჯული დროის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესება;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, შემუშავდა გენდერული სტატისტიკის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებისთვის, რომელშიც განსაზღვრულია გენდერული სტატისტიკის განვითარების ზოგადი ხედვა და ითვალისწინებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საჭიროებებს; პასუხობს პოლიტიკის შემუშავებისთვის საჭირო მონაცემებზე მოთხოვნას; განსაზღვრავს გენდერული სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს; უზრუნველყოფს სტატისტიკური ღონისძიებების ჩატარების გონივრულობას და ფინანსური რესურსების განაწილებას; მოიცავს მონაცემების წარმოების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს;
- გაუმჯობესდა გენდერული სტატისტიკის პორტალი, რომელიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევს გენდერული სტატისტიკის მომხმარებლებს, ერთ სივრცეში მოიძიონ მათთვის საჭირო სტატისტიკური მონაცემები. პორტალზე განახლდა არსებული მაჩვენებლები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ინდიკატორები, ინფოგრაფიკები, ასევე განთავსდა განახლებული პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში, 2021“, რომელშიც წარმოდგენილია დამატებითი მაჩვენებლები სამუშაო ძალის, ჯანდაცვის და სპორტის სტატისტიკის მიმართულებებით;



- გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით, მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ორ დღიანი ტრენინგი გენდერული სტატისტიკის შესახებ. მონაწილეები გაეცნენ სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიებს და მონაცემთა გავრცელების პლატფორმებს.

გენდერული სტატისტიკის გაუმჯობესების მიმართულებით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით, საქსტატმა განხორციელა სამუშაოები ქვეყანაში პრიორიტეტული გენდერული ინდიკატორების იდენტიფიცირების და ამ ინდიკატორების წარმოების შესაძლებლობების განსაზღვრის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა ანგარიში, სადაც ასახულია ძირითადი მიგნებები.

მოსახლეობის აღწერა და დემოგრაფიული სტატისტიკა

მიგრაციის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით, გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD) მხარდაჭერით გრძელდებოდა მუშაობა მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოზე (მიგრაციის შეფასება ე.წ. დიდი მონაცემების (Big Data) გამოყენებით), რომელიც ეფუძნება მიგრაციის მიმართულებით გაეროს განახლებულ რეკომენდაციებს.

მოსახლეობის პროგნოზების დანერგვის მიზნით, გაეროს მოსახლეობის განყოფილების (UN-DESA) მხარდაჭერით, მიმდინარეობდა მეთოდოლოგიის შემუშავება მოსახლეობის პროგნოზირების სფეროში და თანამშრომელთა ცოდნის დონის ამაღლება.

მიმდინარეობდა ასევე მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები. 2021 წელს, განახლდა გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემების (GIS) მონაცემთა ბაზების დიდი ნაწილი. ამასთან, შემუშავდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის კითხვარის დიზაინი და მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია.

მოსახლეობის რეგისტრის დანერგვის მიზნით, საქსტატის მიერ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ჩართულობით მომზადდა ანგარიში, სადაც განხილულია მოსახლეობის რეგისტრის მნიშვნელობა და არსი, მოსახლეობის რეგისტრის შექმნის უპირატესობები და საერთაშორისო პრაქტიკა, ამასთან განხორციელდა მონაცემთა წყაროების იდენტიფიცირება.



სოფლის მეურნეობის და გარემოს სტატისტიკა

განხორციელდა სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ახალი მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწყობებთან ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. გარდა ამისა, ასევე გამოქვეყნდა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 2 ახალი ინდიკატორი:



- SDG 2.3.1 - სასოფლო მეურნეობების წარმოების მოცულობა შრომის დანახარჯის ერთეულზე, მეურნეობის ზომის და მეურნის სქესის მიხედვით;
- SDG 2.3.2 სასოფლო მეურნეობების საშუალო წლიური მოგება მეურნეობის ზომის და მეურნის სქესის მიხედვით.

გაანგარიშდა დამატებითი გარემოსდაცვითი მაჩვენებლები, ნაგავსაყრელებზე განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების შესახებ.

ინფორმაციული ტექნოლოგია

შეიქმნა



პორტალი „გადასახადების კალკულატორი“

საერთაშორისო შაფარაბაისის პორტალი

ონლაინ ბიზნეს რეგისტრის პორტალი

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის - “საქსტატის ინფრასტრუქტურის გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება”- ფარგლებში, შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია 2022-2025, რომლის მიზანს წარმოადგენს საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა; ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის ისეთი სისტემების ჩამოყალიბება, რომლებიც პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფს მდგრადი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის არსებობას საქსტატში.

შემუშავდა ასევე ინფორმაციული უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც აღწერს საქსტატში ინფორმაციული უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის პრინციპებს და განსაზღვრავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების როლსა და პასუხისმგებლობას.

გარდა ზემოთქმულისა,

- განხორციელდა კომპიუტერული ინფრასტრუქტურის განახლება (80 ერთეული);
- განხორციელდა საქსტატის ქსელური ინფრასტრუქტურის განახლება;
- შეიქმნა პორტალი „გადასახადების კალკულატორი“;
- შეიქმნა „საერთაშორისო შედარებების პორტალი“;
- განხორციელდა „ონლაინ ბიზნეს რეგისტრის პორტალის“ განახლება;
- განხორციელდა პორტალის - „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისთვის“ განახლება;
- განხორციელდა სხვადასხვა სტატისტიკური გამოკვლევების პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისა და შესაბამისი კომპიუტერული მხარდაჭერის სამუშაოები.

შიდა აუდიტი და მონიტორინგი/ინსპექტირება

შიდა აუდიტის დეპარტამენტმა, წლიური გეგმებით გათვალისწინებული სამუშაოების ფარგლებში, 2021 წლის განმავლობაში განახორციელა როგორც შიდა აუდიტორული შემოწმებები, ისე მონიტორინგი/ინსპექტირება.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის, სტანდარტების, აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, 2021 წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

შესაბამისობის აუდიტი შემდეგი შიდა აუდიტის ობიექტების მიხედვით:

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის დეპარტამენტი;
- სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი;
- ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტი;
- გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

შიდა აუდიტორული შემოწმება ზემოაღნიშნულ დეპარტამენტებში ემსახურებოდა შემდეგ კონკრეტულ მიზნებს:

- აუდიტის ობიექტების საქმიანობის შესაბამისობა მარეგულირებელ ნორმებთან და კანონმდებლობასთან;
- სავალე სამუშაოების მიმდინარეობა, სავალე პერსონალის ფორმირების კრიტერიუმების და შრომის ანაზღაურების განაკვეთის გაანგარიშების (დადგენის) მეთოდი;
- შიდა დოკუმენტაციის შესაბამისობა მარეგულირებელ ნორმებთან;
- შიდა დოკუმენტაციის/რეგულაციების დროული განახლება;
- ინფორმაციის გაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- შიდა აუდიტის ობიექტების მიერ რისკების იდენტიფიცირება, მართვა და შესაბამისი კონტროლის ღონისძიებების დანერგვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საველე სამუშაოების მონიტორინგი/ინსპექტირება საქსტატის მიერ ორგანიზებული ძირითადი გამოკვლევების ფარგლებში.


„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹² მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის წარუდგენლობისთვის მენარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ, 2021 წლის განმავლობაში შედგენილ იქნა 44 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და წარედგინა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. მათგან, 38 ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177¹² მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სამართალდამრღვევი მენარმე სუბიექტის გაფრთხილებას და ერთი თვის ვადაში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. 6 ოქმი შედგენილია ამავე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით, რომელიც სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, 200 ლარის ოდენობით.

გასათვალისწინებელია, რომ საქსტატი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სანქციებზე ორიენტირებულ ორგანიზაციას და ყოველთვის ცდილობს რესპონდენტებთან მუდმივი კონტაქტისა და თანამშრომლობის, მათთვის ინფორმაციის წარდგენაში დახმარებისა და პროცესის გამარტივების გზით, უზრუნველყოს ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმატიულ დონეზე სანქციების დაწესებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გამოუპასუხებელ საწარმოთა რაოდენობისა და შესაბამისად, გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის (გამოუპასუხებელი საწარმოების პროცენტული წილი გამოსაკითხ საწარმოთა მთლიან რაოდენობაში) შემცირების თვალსაზრისით.

ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკზე ნაჩვენებია გამოუპასუხებლობის მაჩვენებლის დინამიკა 2014-2021 წლებში ძირითადი (საწარმოთა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) გამოკვლევების მიხედვით:

გამოუპასუხებლობა საწარმოთა ძირითადი გამოკვლევების მიხედვით





საერთაშორისო თანამშრომლობა



თავი V

საერთაშორისო თანამშრომლობა

ოფიციალური სტატისტიკის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, საქსტატი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. ამასთან, საქსტატი ყველა ძირითად სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიით, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. აღსანიშნავია ისიც, რომ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო გამოცდილებას.

საერთაშორისო სტანდარტების და მეთოდოლოგიების შემუშავება ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა ევროსტატი, გაერო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო

ფონდი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და სხვა.

აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც განხორციელდა 2021 წელს:

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ხუთი საკითხის შესრულება. ხოლო სამი საკითხის შესრულებას ითვალისწინებდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმა (DCFTA). შვიდი საკითხი შესრულდა სრულად, ხოლო ერთი საკითხით გათვალისწინებული აქტივობები დიდწილად განხორციელდა. კერძოდ:

1 **სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. კითხვარისა და მეთოდოლოგიის განახლება - შესრულდა სრულად.**

2 **მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება - შესრულდა დიდწილად, კერძოდ აღნიშნული პუნქტის განხორციელება მოიცავდა ორ აქტივობას - მეთოდოლოგიის შემუშავებასა და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თარიღის განსაზღვრას.**
მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგია შემუშავებულია, ხოლო ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თარიღის განსაზღვრამ გადაინია 2022 წლისთვის.

3

მოსახლეობის რეგისტრის დასაწერად საფუძვლის მომზადება - შესრულდა სრულად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების №106, 30/12/2020 საფუძველზე, შექმნილია მოსახლეობის რეგისტრის დაწერის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი; საქსტატის მიერ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ჩართულობით მომზადებულია ანგარიში, სადაც განხილულია მოსახლეობის რეგისტრის მნიშვნელობა და არსი, მოსახლეობის რეგისტრის შექმნის უპირატესობები და საერთაშორისო პრაქტიკა, ამასთან იდენტიფიცირებულია მონაცემთა წყაროები.

4

საქართველოში სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის (HICP) განვითარება - შესრულდა სრულად. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი (HICP) გაანგარიშებულია. ინდექსის გაანგარიშების მიზნით, შექმნილია სპეციალური პროგრამული პროდუქტი. მომზადებულია შესაბამისი მეთამონაცემები და ინდექსის მეთოდოლოგიური საკითხები დამატებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების სახელმძღვანელოში. აღნიშნული ინდექსის რეგულარული გამოქვეყნება დაგეგმილია 2022 წლის თებერვლიდან.

5

წარჩენების სტატისტიკის განვითარება - შესრულდა სრულად, ახალი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-გვერდზე.

6

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის საპილოტე გამოკვლევის ჩატარება - შესრულდა სრულად, შემუშავდა გამოკვლევის კითხვარი და შესაბამისი მეთოდოლოგია, ჩატარდა საპილოტე გამოკვლევა არაფინანსური კორპორაციების სექტორში. 2021 წლიდან გამოკვლევამ მიიღო რეგულარული ხასიათი. მონაცემების გამოქვეყნება დაგეგმილია 2023 წლიდან.

7

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვაჭრობის სტატისტიკაში არსებული უმსხვილესი ასიმეტრიების გამოვლენა სარკისებური შედარების გზით და მონაცემთა განსხვავების ძირითადი მიზეზების დადგენა - შესრულდა სრულად, მომზადდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარების ანგარიში, რომელიც გავრცელდა და ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე.

8


საგარეო ვაჭრობის ინდექსების წარმოება (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით - შესრულდა სრულად, გაანგარიშდა საგარეო ვაჭრობის კვარტალური ინდექსები (ექსპორტ-იმპორტის ერთეულის ღირებულების ინდექსები) საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის (HS) პოზიციების მიხედვით. მონაცემები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-გვერდზე.



**თანამშრომლობა დანიის
სტატისტიკის სამსახურთან**

ევროკავშირის პროგრამა TWINNING-ის პროექტი „საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების განვითარება“

2021 წლის ნოემბერში დასრულდა ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტი „საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების განვითარება“ („Strengthening the Capacity of the Georgian National Statistical System“), რომელიც საქსტატსა და დანიის სტატისტიკის სამსახურებს შორის 2 წლისა და 8 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning-ის პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული გეგმების შესრულების ხელშეწყობა, საქსტატის მიერ დროული, სანდო და საერთაშორისო დონეზე შესაძარისი მონაცემების წარმოება და მისი დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან. Twinning-ის პროექტი საქსტატში 2019 წლის აპრილში დაიწყო და ოთხ კომპონენტს მოიცავდა, როგორცაა, საგარეო ვაჭრობა, ეროვნული ანგარიშები, სოციალური სტატისტიკა და ბიზნეს სტატისტიკა.



Twinning-ის პროექტის განხორციელების პერიოდში ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, პროექტი წარმატებით განხორციელდა და გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობა შესრულდა. Twinning-ის პროექტის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა ექსპერტთა 75 მისია (2020 წლის მარტის შემდეგ მისიები ძირითადად ტარდებოდა ონლაინ რეჟიმში) და 6 სასწავლო ვიზიტი ჩეხეთისა და დანიის სტატისტიკის სამსახურებში.





პროექტის საშუალებით საქსტატმა განახორციელა მთელი რიგი მეთოდოლოგიური ცვლილებები, რომელთა შორის აღსანიშნავია:



- დანიელი ექსპერტების დახმარებით, საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში ჩატარდა სარკისებური შედარება, რაც პარტნიორ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების

ხარისხის შესაფასებლად ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდს წარმოადგენს. სარკისებური შედარება ექვსი პარტნიორი ქვეყნის (ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, გერმანია, რუმინეთი) და მათთან დაკავშირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების ანალიზის შედეგად განხორციელდა.

- ეროვნული ანგარიშების მიმართულებით მთავარ მიღწევად, 2019 წლის ბოლოს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ახალი მეთოდოლოგიის (SNA 2008) დანერგვა წარმოადგენს, რაც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის (ეას) ახალ სტანდარტებზე (SNA 2008) გადასვლას და მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და მთელი რიგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას გულისხმობს.



- კიდევ ერთ პრიორიტეტულ საკითხს სამუშაო ძალის სტატისტიკაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ახალი სტანდარტების დანერგვა წარმოადგენდა. საქსტატმა 2021 დეკემბერში ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მონაცემები გამოაქვეყნა.

- მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებები განხორციელდა ასევე ბიზნეს სტატისტიკის განვითარების თვალსაზრისით, კერძოდ, ბიზნეს რეგისტრის გაუმჯობესება, მოკლევადიანი სტატისტიკის ახალი ინდიკატორების წარმოება, ტურიზმის სტატისტიკის განვითარება და სხვა.





**საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის
არჩევა UNESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის
ბიუროს თავმჯდომარედ**

საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა UNESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარის რანგში ექვსი შეხვედრა ჩაატარა

2020 წლის აგვისტოში, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს მე-7 სესიაზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი - გოგია თოდრაძე, ორი წლის ვადით, სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს.


UNESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის რიგით მე-7 სესიას UNESCAP-ის 50-ზე მეტი წევრი ქვეყნის სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი პირები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (UNSD, UNDP, UNICEF, UN WOMAN, FAO, IOM) მაღალი რანგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

UNESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტი უმაღლესი დონის, სტატისტიკის საკითხებზე გადანყვეტილების მიმღებ მთავრობათაშორის ორგანოს წარმომადგენს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, ხოლო ბიურო სტატისტიკის კომიტეტის მაკოორდინირებელი და საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც მას თავის ფუნქციების შესრულებაში ეხმარება. განახლებული ბიურო 6 წევრისგან შედგება, რომელიც საქართველოსთან ერთად აერთიანებს ინდოეთის, მალაიზიის, ფილიპინების, მონღოლეთის და ფიჯის სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელებს.



ბიუროს თავმჯდომარე:

საქართველო



ბიუროს წევრები:

- ინდოეთი
- მალაიზია
- ფილიპინები
- მონღოლეთი
- ფიჯი

2021 წელს გოგიტა თოდრაძის ხელმძღვანელობით, კომიტეტის თავმჯდომარის რანგში გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს ექვსი სხდომა ჩატარდა.



The infographic features the ESCAP logo at the top left and a bar chart at the top right. It lists the Bureau Members and the Secretariat. The members are: Gogita Todradze (Chair, Georgia), Mohd Uzir Mahidin (Vice-Chair, Malaysia), Kemueli Naiqama (Vice-Chair, Fiji), Kshatrapati Shivaji (Vice-Chair, India), Dennis S. Mapa (Rapporteur, Philippines), and Batdavaa Batmunkh (Member, Mongolia). The Secretariat is led by Gemma Van Halderen, Director of the Statistics Division. The date 17.02.2021 and the website www.geostat.ge are also included.

UNITED NATIONS ESCAP
Economic and Social Commission for Asia and the Pacific

BUREAU MEMBERS

Gogita Todradze
Chair (Georgia)

Mohd Uzir Mahidin
Vice-Chair (Malaysia)

Kemueli Naiqama
Vice-Chair (Fiji)

Kshatrapati Shivaji
Vice-Chair (India)

Dennis S. Mapa
Rapporteur (Philippines)

Batdavaa Batmunkh
Member (Mongolia)

Secretariat

Gemma Van Halderen
Director, Statistics Division, ESCAP

17.02.2021
www.geostat.ge



სხდომებზე ბიუროს წევრები, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელი პირები, გაეროს ESCAP-ის სტატისტიკის განყოფილების სამდივნო და სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები განიხილავდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორებიცაა: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელება, ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლი, მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული მეთოდებისა და დიდი მონაცემების მნიშვნელობა, სტატისტიკის სისტემის წინაშე არსებული გამოწვევები და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები, ასევე აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობისთვის და სხვა.





**ევროსტატის მიერ ინიცირებული
რეგიონული სტატისტიკური პროგრამა**

2021 წლის განმავლობაში, ევროსტატის მიერ ინიცირებული რეგიონული პროგრამის ფარგლებში, კვლავ გრძელდებოდა რეგიონული სტატისტიკური პროექტის - STEP (Statistics through the Eastern Partnership) ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები.

STEP-ის პროექტის ფარგლებში 2021 წელს აქტივობები ონლაინ რეჟიმში გაგრძელდა. რეგიონულ და სუბ-რეგიონულ დონეზე განხორციელდა სულ 28 აქტივობა (სემინარები, ტრენინგები, სასწავლო ვიზიტები), რომელშიც საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ, როგორც საქსტატის წარმომადგენლები, ისე ოფიციალური სტატისტიკის სისტემაში შემავალი სხვა უწყებები და დაინტერესებული მხარეები.

საქართველოს მხრიდან საზგასასმელია საერთაშორისო შედარებების პროგრამაში (International Comparison Program (ICP)) უკრაინასთან ერთად მონაწილეობა, რომლის ფარგლებში განეული დახმარება გულისხმობდა ორივე ქვეყნისთვის მსყიდველობითი უნარის პარიტეტების (Purchasing Power Parities - PPPs) გაანგარიშებაში დახმარებას.

ასევე აღსანიშნავია, კომუნიკაციის საკითხებზე განხორციელებული ტრენინგ კურსი: „Communication for statistics - C4S“, რომელიც ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს STEP- ის ფარგლებში.



2021 წლის დეკემბერში გაიმართა ევროსტატის მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების პირველი რეგიონული პროექტის - „STEP“ მმართველი კომიტეტის (Steering Committee) მესამე შეხვედრა, ბენეფიციარი ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელების, ევროსტატის, ევროკომისიის დირექტორატის (DG NEAR), ასევე პროექტის კონსორციუმის წევრებისა და ეროვნული პასუხისმგებელი პირების (PNC) მონაწილეობით.

აღსანიშნავია, რომ COVID-19 პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, ევროსტატმა ოფიციალურად დაადასტურა გადაწყვეტილება STEP-ის 2022 წლის ივლისის ბოლომდე გაგრძელების თაობაზე. პროექტის ბენეფიციარებმა მოინდონეს აღნიშნული გადაწყვეტილება და მხარდაჭერა აღუთქვეს STEP-ის ექსპერტთა ჯგუფს საერთო ამოცანების განხორციელების საქმეში.

ამჟამად აქტიურ ფაზაშია 3 მიმდინარე აქტივობა. 2022 წელს დაგეგმილია უკვე დაწყებული ღონისძიებების შემდგომი ეტაპების ონლაინ ჩატარებაც. მათ შორისაა ვებინარი ეროვნული სტატისტიკის სისტემის კოორდინაციისა (Organisation and coordination of the NSS) და ინტეგრირებული ხარისხის მართვის გაუმჯობესების საკითხებზე, (Online Workshop on the Extension of the Quality Policy to the overall NSS) ასევე კომუნიკაციის თემაზე (Communication for Statistics (C4S)).




**საერთო შუამდგომლობის მისია
ფასების სტატისტიკაში**

2021 წლის დეკემბერში საქსტატმა სექტორული შუამდგომლობის მისიას უმასპინძლა. მისია ევროსტატის ორგანიზებით ჩატარდა და მიზნად ისახავდა ფასების სტატისტიკის ე.წ. „სექტორულ შუამდგომლობას“.

მისიის პერიოდში უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასდა ფასების სტატისტიკის სფეროში საქსტატის მიერ მიღწეული განვითარების დონე, ასევე დეტალურად შემოწმდა გამოყენებული მეთოდოლოგიის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და სტატისტიკის საერთაშორისო ფუნქციონირების პრინციპების დაცვა. მისიის დროს გაიმართა სამუშაო შეხვედრები ფასების სტატისტიკის დეპარტამენტთან, საქსტატის ხელმძღვანელობასთან და საბჭოს წევრებთან, ასევე სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლებთან (საჯარო სექტორი, მედია და სხვ.).

ფასების სტატისტიკის ასეთი დეტალური შემოწმება საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა. შესაბამისად, მისი შედეგი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნულ სფეროში საქსტატის პროგრესის შესაფასებლად. შემოწმების შედეგად 2022 წლის დასაწყისში მომზადდება დასკვნა და რეკომენდაციები, რომელიც იქნება სახელმძღვანელო დოკუმენტი ფასების სტატისტიკის შემდგომი განვითარებისთვის.





თანამშრომლობა გაეროს
განვითარების პროგრამასთან
(UNDP)

2021 წლის მარტში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) შორის ერთობლივი ათ თვიანი პროექტის განხორციელება დაიწყო.

პროექტის მიზანს წარმოადგენდა სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება და საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიით (2020–2023) განსაზღვრული ამოცანების დროულად და ხარისხიანად შესრულება.

პროექტი ოთხი კომპონენტს მოიცავდა. პირველი კომპონენტის ფარგლებში შემუშავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია, ასევე მონაცემთა დაცვის და ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტები.

მეორე კომპონენტი მიმართული იყო სტატისტიკურ მონაცემთა გავრცელების შესაძლებლობების გაუმჯობესებისკენ, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საქსტატის ვებ-გვერდის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე,

რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების თანაბარ წვდომას ინფორმაციაზე და მათ მეტ ჩართულობას სოციალურ აქტივობებში.

მესამე კომპონენტის მიხედვით განხორციელდა საქსტატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები სტატისტიკური და ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამებში. ტრენინგი ჩაუტარდა სტატისტიკის 60-ზე მეტ თანამშრომელს.

მეოთხე კომპონენტი ითვალისწინებდა მომხმარებელთა ჯგუფებთან ურთიერთობების გაძლიერებას და სტატისტიკის შესახებ ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიის ჩატარებას, რაც გულისხმობდა სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის (სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი თვითმმართველობები, მედია, ბიზნეს ასოციაციები, სამეცნიერო საზოგადოება და სხვა) სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას. სულ ტრენინგს დაესწრო 160-ზე მეტი მონაწილე სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფიდან.






2021 წლის განმავლობაში, საქსტატი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული რეგულაციებიდან გამომდინარე, საქსტატის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართულები საერთაშორისო შეხვედრებში, რომლებიც ძირითადად იმართებოდა ვირტუალურად, ონლაინ რეჟიმში. კერძოდ:

- საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა მანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ მონაწილეობა მიიღო გაეროს სტატისტიკის კომისიის (UNSC) 52-ე სესიაში, კომისიის წევრის სტატუსით. გაეროს სტატისტიკის კომისია წარმოადგენს უმაღლესი დონის მთავრობათაშორის ფორმატს და საერთაშორისო დონეზე, სტატისტიკური საქმიანობების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ უმაღლეს ორგანოს, რომელიც ზედამხედველობას უწევს გაეროს სტატისტიკის სამმართველოს (UNSD). საქართველო გაეროს სტატისტიკის კომისიის (UNSC) წევრად, 4 წლის ვადით, 2019 წელს აირჩიეს;





• საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის ხელმძღვანელობით ჩატარდა გაეროს ESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის ბიუროს ექვსი სხდომა. შეხვედრებს ბიუროს თავმჯდომარის რანგში, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორი - გოგიტა თოდრაძე უძღვებოდა. ბიუროს სხდომას გაეროს ESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის სამდივნო, ბიუროს წევრები, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების ხელმძღვანელი პირები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ;



• საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მონაწილეობა მიიღო გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (UNESCAP) 77-ე სესიაში. შეხვედრას აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების

მეთაურები და უმაღლესი რანგის დელეგატები, ასევე გაეროს ESCAP-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. 2021 წლის სესიის მთავარ თემას ახალი კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეული კრიზისის შემდგომი თანამშრომლობა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის დღის წესრიგის განხორციელება წარმოადგენდა.



გოგიტა თოდრაძემ თავის გამოსვლაში, გაეროს ESCAP-ის სტატისტიკის კომიტეტის საქმიანობის ანგარიში წარადგინა. ისაუბრა სტატისტიკის კომიტეტის მიღწევებზე და მონაწილეებს კომიტეტის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გააცნო. მოხსენებისას ხაზი გაუსვა ოფიციალური სტატისტიკის ისეთ პრიორიტეტულ საკითხებს, როგორცაა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების 2030 წლის

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხორციელება, სტატისტიკის სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობა, დიდი მონაცემების (Big Data) ფართოდ გამოყენება, გენდერული სტატისტიკის შემდგომი განვითარება, ეროვნული ანგარიშების წარმოება და სხვა;

- საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP) პანელურ შეხვედრაზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკაში, ქვეყნის შუალედური ანგარიში წარადგინა.



შეხვედრაზე გოგიტა თოდრაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ქვეყანაში ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის წარმოებისა და აღრიცხვის თავისებურებანი. ყურადღება გაამახვილა ბოლო წლებში ამ მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებზე და ისაუბრა ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის ყოველწლიური ანგარიშის შესახებ, რომელიც მომზადდა ბლუმბერგის საქველმოქმედო ფონდისა („ინიციატივა ჯანდაცვის სფეროში“) და გაეროს ESCAP-ის მხარდაჭერით.

შეხვედრას ესწრებოდნენ გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, გაეროს ESCAP-ის სტატისტი-

კის სამმართველოს ხელმძღვანელი, გაეროს ESCAP-ის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, რამდენიმე ქვეყნის იუსტიციის მინისტრი, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის ასამდე წარმომადგენელი;


- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ მონაწილეობა მიიღო ევროსტატის, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) და გაეროს ეკონომიკური კომისიის ევროპისთვის (UNECE) ორგანიზებით გამართულ მაღალი დონის შეხვედრაში. შეხვედრა ონლაინ ფორმატში ჩატარდა და მასში მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების პირველი პირები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.



შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სტატისტიკის სფეროში მომავალი პრიორიტეტებისა და მოლოდინების განსაზღვრა და



ასევე, სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების მიერ დანერგილი უახლესი ინოვაციების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. შეხვედრაზე საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ ისაუბრა პანდემიის პერიოდში საქართველოს სტატისტიკის სისტემის წინაშე არსებული გამოწვევების, საქსტატის მნიშვნელოვანი მიღწევების, მიმდინარე აქტივობებისა და სამომავლო პრიორიტეტების შესახებ;



- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი გოგიტა

თოდრაძე გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სამოქალაქო რეგისტრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის (CRVS) რიგით მე-2 მინისტერიალს დაესწრო, სპიკერის რანგში. შეხვედრა 2021 წლის ნოემბერში, გაეროს ESCAP ორგანიზებით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა. შეხვედრას აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მინისტრები, მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირები, სტატისტიკის სამსახურების ხელმძღვანელები, უმაღლესი რანგის დელეგატები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მინისტერიალის მთავარ თემას მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში სამოქალაქო რეგისტრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის სისტემის განვითარება და აღნიშნულ პროცესში მთავრობებისა და საერთაშორისო პარტნიორების სრული ჩართულობა წარმოადგენდა. შეხვედრაზე დელეგატებმა იმსჯელეს 2014 წელს მინისტერიალზე მიღებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საკითხების შესრულების მდგომარეობისა და გამოწვევების

შესახებ.

თავის გამოსვლაში საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა მონაწილეებს გააცნო საქართველოში სამოქალაქო რეგისტრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის განვითარების მიმართულებით არსებული მდგომარეობა და გატარებული რეფორმებისა და ცვლილებების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, 2014 წელს მინისტერიალზე მიღებული დეკლარაციის სამივე მიზანი ჩვენს ქვეყანაში მეტწილად შესრულებულია და საქსტატი აქტიურად მუშაობს ხარისხის საკითხების გაუმჯობესების მიმართულებით. შეხვედრაზე მონაწილეებმა ასევე განიხილეს COVID-19 კრიზისის დროს CRVS სისტემის გაძლიერების აუცილებლობის საკითხები, არსებულ გამოწვევები და სამომავლო გეგმები;

• 2021 წლის აპრილში და ნოემბერში საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის (International Trade Center-ITC) ორგანიზებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის დახმარების პროექტის (Eastern Partnership Trade Helpdesk Project) ფარგლებში, მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით დისტანციური სასწავლო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლები;



• 2021 წლის თებერვალში ევროსტატის მიერ ინიცირებული რეგიონული სტატისტიკური პროგრამის STEP (Statistics through the Eastern Partnership) ფარგლებში, ჩატარდა სასწავლო კურსი სადაც განხილული იყო წარმოების ანგარიშების შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე კვლევებსა და დამუშავებაზე განეული ხარჯების კაპიტალიზაცია და პირობითი რენტის ღირებულების გაანგარიშება;



• 2021 წელს მიმდინარეობდა არაფორმალური ეკონომიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს განახლებაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა, რომელიც 2020 წლის სექტემბერში შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და გაეროს ინიცირებით და რომლის წევრადაც შეირჩეულ იქნა საქსტატის ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი;

• 2021 წლის მაისში, დანიის სტატისტიკის სამსახურთან Twinning-პროექტის ფარგლებში, სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის (HICP) დანერგვის მიზნით ჩატარდა შემაჯამებელი ონლაინ-მისია. მისიის დროს განხილული იყო საქსტატის მიერ 2020 წლის შეხვედრის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები და მიღწეული შედეგები, შეფასდა შემუშავებული ინდექსის ხარისხი და მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან. მისიის შედეგად, საქსტატის მიერ გაანგარიშებული HICP შეფასდა მაღალ დონეზე და გაცემული იქნა

რეკომენდაცია მისი გამოქვეყნების შესახებ;



• 2021 წლის ივლისში ჩატარდა სავალუტო ფონდის ექსპერტთა ონლაინ მისია, სამომხმარებლო ფასების ინდექსში სკანერული მონაცემების ინტეგრირების თემაზე. მისიის დროს გაანალიზებულ იქნა მონაცემთა წყაროები, მონაცემთა ხარისხი და რელევანტურობა, ასევე დასახულ იქნა დეტალური სამოქმედო გეგმა, სკანერული მონაცემების დანერგვის მიმართულებით. ამავე მისიის ფარგლებში სავალუტო ფონდის ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური ანალიტიკური ინსტრუმენტები, პროგრამა R-ის გამოყენებით. აღნიშნული ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება საქსტატის მიერ სკანერული მონაცემების ანალიზისთვის;



• 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში, ჩატარდა რამდენიმე ონლაინ შეხვედრა სავალუტო ფონდის ექსპერტებთან. მისი მიზანი იყო მწარმოებელთა

ფასების ინდექსების დაფარვის გაუმჯობესება და ახალი ინდიკატორების განვითარება. მისიის დროს განხილული იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობისთვის მწარმოებელთა ფასების ინდექსის წარმოების შესაძლებლობები;



• 2021 წელს საქსტატის ფასების სტატისტიკის დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო ახალი საერთაშორისო მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს - „სამომხმარებლო ფასების ინდექსის წარმოება ლოქდაუნის პირობებში“ - შემუშავებაში, რომელიც შემდეგ გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (United Nations Economic Commission for Europe - UNECE) გამოაქვეყნა. აღნიშნული სახელმძღვანელოს შემუშავების მიზანი იყო ქვეყნებისთვის იმ მეთოდოლოგიური რჩევების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, რომელიც აუცილებელია ლოქდაუნის და სხვა საგანგებო სიტუაციების დროს, ინფლაციის მაჩვენებლის უწყვეტი ეფექტიანი წარმოებისთვის.

COVID19-ის გამო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაწესებული ლოქდაუნის შედეგად, განსაკუთრებით გართულებულია სტატისტიკური გამოკ-

ვლევების ჩატარება, მათ შორის სამომხმარებლო ფასების გამოკვლევა ინფლაციის მაჩვენებლის გაანგარიშების მიზნით. მოსახლეობის მობილობის შეზღუდვა, სხვადასხვა საცალო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტების საქმიანობის შეჩერება და სხვა შეზღუდვები მნიშვნელოვან გამოწვევებს აწეებს სტატისტიკის მწარმოებელი უწყებებისთვის, მონაცემების საჭირო რაოდენობის მოპოვებისა და მათი დროულობის თვალსაზრისით. ამ გამოწვევების საპასუხოდ, სახელმძღვანელოში განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა მონაცემთა მოპოვების თანამედროვე

ალტერნატიული წყაროები და მეთოდები, არასრული მონაცემების პირობებში ინდექსის გაანგარიშება, მომხმარებლებთან სწორი კომუნიკაცია და სხვა. აღნიშნული პუბლიკაცია ეფუძნება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების ძირითად საერთაშორისო პრინციპებსა და მეთოდებს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკას.

სახელმძღვანელო შემუშავებულია UNECE-ის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ის, იტალიის, ევროსტატის და საქსტატის ფასების სტატისტიკის ექსპერტების თანაავტორობით.





გეგმები 2022 წლისთვის



თავი VI



ახალი სტანდარტების დანერგვა

2022 წლის განმავლობაში დაგეგმილია ახალი სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების დანერგვა, ახალი გამოკვლევების ჩატარება და დამატებითი დეტალიზებული მაჩვენებლების წარმოება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს სტატისტიკის არეალის გაფართოებისა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების საბაზისო ინდიკატორების გაანგარიშების თვალსაზრისით.




მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება

საქსტატის გეგმა ასევე ითვალისწინებს, მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესებას, ადმინისტრაციული მონაცემების მაქსიმალურ გამოყენებას და მეტ ინვესტირებას ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რესურსების ეფექტიანად გამოყენების, ისე რესპონდენტთა ტვირთის შემსუბუქების თვალსაზრისით.




ალტერნატიული წყაროების მოძიება

მომხმარებელთა მხრიდან სტატისტიკურ მონაცემებზე გაზრდილი მოთხოვნის პარალელურად, დღის წესრიგში დადგა მონაცემთა ალტერნატიული წყაროების მოძიებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საკითხები, რომელთა განვითარების მიმართულებით, წლის განმავლობაში არაერთი აქტივობაა დაგეგმილი.



მონაცემთა გავრცელება

გარდა იმისა, რომ მომხმარებელთა საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოება საქსტატის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს მონაცემთა გავრცელება ისეთი ფორმებით, რომლებიც აადვილებს მათ გამოყენებას და გაუმჯობესებს დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს ნებისმიერ დონეზე.



2022 წელს საქსტატი გეგმავს აქტიურ მუშაობას შემდეგ მიმართულებებზე:

- საერთაშორისო შედარებების პროგრამის (International Comparison Program – ICP) 2021 წლის რაუნდის ფარგლებში მონაცემთა ბაზების შეგროვება და ანალიზი;
- სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის (HICP) გამოქვეყნება - 2022 წლის თებერვლიდან, ყოველთვიური პერიოდულობით;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის საცდელი გაანგარიშება სოფლის მეურნეობის სტატისტიკის არსებული მიკრომონაცემების საფუძველზე. 2022 წლის მანძილზე შეფასდება აღნიშნული მონაცემების შესაბამისობა ფასების სტატისტიკის მიზნებთან, ასევე მათ საფუძველზე გაანგარიშებული ინდექსის ხარისხი და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები;
- დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობისთვის მწარმოებელთა ფასების საპილოტე გამოკვლევის დაწყება და ინდექსის საცდელი გაანგარიშება;
- მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული წყაროების მოძიება და თანამედროვე ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება (ვებ-გვერდიდან მონაცემების ავტომატური გადმოტვირთვა (web scraping) და სკანერული მონაცემების გამოყენება);
- დაუკვირვებადი ეკონომიკის სპეციალური გამოკვლევების განხორციელება ხელოვნების, გართობისა და დასვენების, ასევე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სფეროში;
- მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენის მეთოდოლოგიური აღწერილობის დოკუმენტის შემუშავება;
- ეროვნული ანგარიშების შედგენის ავტომატიზებასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პორტალის ამოქმედება;
- სტატისტიკური პუბლიკაციის - „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში“ მომზადება და გავრცელება;
- საქონლით საგარეო ვაჭრობის 2000-2008 წლების მონაცემების დამუშავება და გავრცელება საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მაქსიმალურად დეტალიზებულ დონეზე (5-ნიშნა დონე);
- მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება, ექსპერიმენტული მონაცემების სახით;
- მედიანური ხელფასის მაჩვენებლის გაანგარიშება და გავრცელება ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე;

- შესწორებული გენდერული სახელფასო სხვაობის (Gender Pay Gap – GPG) მაჩვენებლის გაანგარიშება და გავრცელება;
- გენდერული სტატისტიკის პრიორიტეტული ინდიკატორების იდენტიფიცირება და მათი გაანგარიშება არსებული წყაროების საფუძველზე;
- გენდერული სტატისტიკის პორტალის განახლება;
- სტატისტიკური პუბლიკაციის - „ქალი და კაცი საქართველოში 2021“ მომზადება და გავრცელება;
- დროის გამოყენების გამოკვლევის შედეგების გავრცელება;
- ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევითვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და სავსე სამუშაოების ჩატარება.
- ოჯახებისა და ბავშვების კეთილდღეობაზე COVID-19-ის გავლენის რეალურ დროში დაკვირვების (მონაცემთა მონიტორინგი რეალურ დროში) VI ტალღის შედეგების გავრცელება;
- ცხოვრების დონის სტატისტიკის დამატებითი საერთაშორისო მაჩვენებლების წარმოების მიზნით, შინამეურნეობების შემოსავლების და ხარჯების გამოკვლევის კითხვარებში შესაბამისი ცვლილებების მომზადება;
- შშმ პირების შესახებ სტატისტიკის არეალის გაფართოების მიზნით, არსებული წყაროების საფუძველზე ახალი მაჩვენებლების წარმოება;
- მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარების თარიღის დადგენა;
- მოსახლეობის საპილოტე აღწერის ჩატარება;
- ტურიზმის სატელიტური ანგარიშების 1-4 ცხრილების შესაბამისი, 2019 წლამდე პერიოდის მაჩვენებლების გადაანგარიშება;
- ტურიზმის სატელიტური ანგარიშების 5-6 ცხრილების წარმოებისთვის მეთოდოლოგიაზე მუშაობა;
- მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის ინდიკატორების, კერძოდ, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის ყოველთვიური და ნამუშევარი საათების კვარტალური ინდექსების გადაანგარიშება;
- ენერგოეფექტურობის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება;
- ბიზნეს დემოგრაფიის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება;
- ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის გამოკვლევაში პლანშეტური კომპიუტერით მონაცემთა შეგროვების (CAPI) დანერგვის მიზნით, ელექტრონული კითხვარის შემუშავება;
- „შინამეურნეობებში ენერგორესურსების მოხმარების“ გამოკვლევაში მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდების დანერგვა - მონაცემთა შეგროვება პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით (CAPI);
- სტატისტიკურ ბიზნეს რეგისტრში საწარმოთა ჯგუფის გამოვლენისა და საკუთრების ფორმის ავტომატური განსაზღვრის პროცედურების დანერგვა და რეპორტინგის სისტემის შექმნა, ახალი ბაზის საფუძველზე;
- ბიზნეს სტატისტიკის ხარისხის ამაღლების მიზნით, მონაცემთა შეგროვების ალტერნატიული წყაროების მოძიება;
- რეგიონულ დონეზე მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება;
- მუნიციპალური სტატისტიკის მონაცემთა წარმოების შესაძლებლობების შეფასება და გავრცელების ერთიანი სისტემის შექმნა;

- გარკვეული ცვლილებების შეტანა სხვადასხვა სახის გამოკვლევის კითხვარებში, საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და ახალი ინდიკატორების წარმოების თვალსაზრისით;
- ახალი სტატისტიკური პროდუქტების შექმნა და ახალი სერვისების ამოქმედება (ტურიზმის სტატისტიკის პორტალი; ენერგეტიკის სტატისტიკის პორტალი);
- ქალ მენარმეთა შესახებ გამოკვლევის ჩატარება;
- საქსტატის თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარება. ამ მიმართულებით დაგეგმილია საქსტატის თანამშრომელთა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, რაც გააუმჯობესებს პერსონალის ცოდნას, უნარებს და გამოცდილებას;
- სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო ლექციების ორგანიზება მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით;
- გენდერული სტატისტიკის სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებელთათვის სემინარების ჩატარება;
- ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის გაზრდა და სანდოობის განმტკიცება. ამ მიმართულებით დაგეგმილია სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთა ტრენინგები საქსტატის მიერ წარმოებული ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიების, ასევე არსებული სერვისებისა და სტატისტიკური პროდუქტების შესახებ. აღნიშნული სემინარები განკუთვნილი იქნება სახელმწიფო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, მედიის, სამეცნიერო საზოგადოების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისათვის.

მსგავსი ტიპის ღონისძიებები მნიშვნელოვნად გაზრდის ოფიციალური სტატისტიკისადმი ნდობის ხარისხს, გააუმჯობესებს მომხმარებელთა ცოდნას სტატისტიკის სფეროში და შეამცირებს სტატისტიკური მონაცემების არასწორი ინტერპრეტაციის რისკებს.

საქსტატის გეგმა ითვალისწინებს ასევე მუდმივ განვითარებას და გაუმჯობესებას. ჩვენი მიზანია, მომხმარებლებთან აქტიური დიალოგით და მათთან კონსტრუქციული თანამშრომლობით, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და გავრცელების კიდევ უფრო ქმედითი და გამჭვირვალე სისტემა, რომელიც მომხმარებლებში გაამყარებს რწმენას, რომ საქსტატის მიერ წარმოებული სტატისტიკა არის სანდო, ობიექტური და დამოუკიდებელი.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 2

საქსტატის საშტატო განრიგი - 2021 წელი

№	თანამდებობების ჩამონათვალი	კოეფიციენტი	რაოდენობა	თვის ანაზღაურების ფონდი (ლარი)
1	აღმასრულებელი დირექტორი	5.9	1	5900
2	აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე	5.3	2	10600
3	დეპარტამენტის უფროსი	3.8	10	38000
4	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	3.6	1	3600
5	სამმართველოს უფროსი	2.8	3	8400
6	სამმართველოს უფროსი	2.5	21	52500
8	თბილისის სტატისტიკის ბიუროს უფროსი	2.8	1	2800
9	ბიუროს უფროსი	2.5	7	17500
10	ბიუროს უფროსი	2.2	2	4400
11	ბიუროს უფროსი	2.0	1	2000
12	მთავარი სპეციალისტი-IT1	2.3	1	2300
13	მთავარი სპეციალისტი-IT2	2.1	1	2100
14	მთავარი სპეციალისტი-1	1.7	7	11900
15	მთავარი სპეციალისტი-2	1.6	4	6400
16	მთავარი სპეციალისტი-3	1.5	30	45000
17	მთავარი სპეციალისტი-4	1.4	2	2800
18	უფროსი სპეციალისტი-IT1	2.0	1	2000
19	უფროსი სპეციალისტი-IT2	1.8	1	1800
20	უფროსი სპეციალისტი-1	1.5	4	6000
21	უფროსი სპეციალისტი-2	1.4	26	36400
22	უფროსი სპეციალისტი-3	1.3	20	26000
23	სპეციალისტი-IT1	1.6	1	1600
24	სპეციალისტი-IT2	1.4	1	1400
25	იურისტი-შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი	1.4	1	1400
26	სპეციალისტი-1	1.3	13	16900
27	სპეციალისტი-2	1.2	11	13200
28	სპეციალისტი-3	1.1	2	2200
29	მთავარი სპეციალისტი (რეგიონები)	1.3	4	5200
30	მთავარი სპეციალისტი (რეგიონები)	1.2	4	4800
31	უფროსი სპეციალისტი (რეგიონები)	1.1	15	16500
32	სპეციალისტი (რეგიონები)	1.0	15	15000
	ჯამში:		213	366600

შენიშვნა: სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის თანახმად თანამდებობრივი სარგოს საბაზისო განაკვეთი შეადგენს 1000 ლარს, რომლის ნამრავლით კოეფიციენტზე მიიღება შესაბამისი თანამდებობრივი სარგო.

საქსტატის ძირითადი პროდუქტები და მეთოდოლოგია

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ გამოკვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით.

საქსტატის მიერ, სტატისტიკური გამოკვლევების საფუძველზე, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოება, რომელიც დაჯგუფებულია რამდენიმე მიმართულებად:

1. ეროვნული ანგარიშები: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატები; რესურსების და გამოყენების ცხრილები;
2. საგარეო სექტორის სტატისტიკა: საქონლით საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
3. ფასების სტატისტიკა: სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მწარმოებელთა ფასების ინდექსები, იმპორტის ფასების ინდექსი, მშენებლობის ღირებულების ინდექსი, საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი;
4. სოციალური სტატისტიკა: ცხოვრების დონის მაჩვენებლები, შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმება და უმუშევრობა) მაჩვენებლები, ხელფასების სტატისტიკის მაჩვენებლები, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სამართლებრივი სფეროს, ასევე გენდერული სტატისტიკის მაჩვენებლები;
5. მოსახლეობა და დემოგრაფია: მოსახლეობის რიცხოვნობა და სტრუქტურა, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებლები, დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება და მიგრაცია;
6. ბიზნეს სტატისტიკა: ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა და ა.შ.), მრეწველობის, მშენებლობის, ენერჯეტიკის და მომსახურების სფეროს სტატისტიკა, ტურიზმის სტატისტიკა;
7. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკა: ერთწლიანი კულტურების ფართობი, წარმოება და საშუალო მოსავლიანობა, მრავალწლიანი კულტურების წარმოება, პირუტყვის და ფრინველის რაოდენობა, მეცხოველეობის პროდუქციის მაჩვენებლები, სასუქების და პესტიციდების გამოყენება, სასურსათო ბალანსები. გარემოს სტატისტიკის მონაცემები მიწის, წყლის, ტყის რესურსებისა და დაცული ტერიტორიების შესახებ; მონაცემები ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და სტიქიური მოვლენების შესახებ.

სტატისტიკური მონაცემების/პროდუქტების წარმოებისას საქსტატი 2021 წელს ხელმძღვანელობდა შემდეგი მეთოდოლოგიებით:

ეროვნული ანგარიშები

1. „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 2008“ (SNA - System of National Accounts 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 2008 წელი;
2. კვარტალური ეროვნული ანგარიშების სახელმძღვანელო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2017 წელი;
3. „დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა“ (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი;
4. „რესურსების, გამოყენებისა და დანახარჯები-გამოშვების ცხრილების შედგენის სახელმძღვანელო“ (Handbook on Supply, Use and Input-Output Tables with Extensions and Applications), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, 2018 წელი.

საგარეო სექტორის სტატისტიკა

1. „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010“ (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წელი;
2. საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო (Balance of Payments and International Investments Position Manual), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი, მეექვსე გამოცემა;
3. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება“ (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;
4. „პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო“ (The Coordinated Direct Investment Survey Guide), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2015 წელი;
5. „საგარეო ვალის სტატისტიკა“ (External Debt Statistics), ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი.

დანართი 3

ფასების სტატისტიკა

1. „სამომხმარებლო ფასების ინდექსის სახელმძღვანელო: კონცეფციები და მეთოდები“ (Consumer Price Index Manual: Concepts and Methods), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2020;
2. „სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოების პრაქტიკული სახელმძღვანელო“ (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2009;
3. „სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი“, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ევროსტატი, ლუქსემბურგი, 2018;
4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები ფასების სტატისტიკის შესახებ, 1993-2012;
5. „მწარმოებელთა ფასების ინდექსის სახელმძღვანელო: თეორია და პრაქტიკა“ (Producer Price Index Manual: Theory and Practice), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 2004;
6. ექსპორტის და იმპორტის ფასების ინდექსის სახელმძღვანელო (Export and Import Price Index Manual), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), 2009;
7. „მშენებლობის ფასების ინდექსები - წყაროები და მეთოდები“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ევროკავშირის სტატისტიკის ოფისი (ევროსტატი);
8. „მშენებლობის ფასების ინდექსების მეთოდოლოგიური ასპექტები“, ევროსტატი, 1996;
9. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2013 წელი;
10. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა და იმპორტის ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2020 წელი;
11. მშენებლობისთვის შექნილი მასალების ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2017 წელი;
12. მშენებლობის ღირებულების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2019 წელი;
13. მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, საქსტატი, 2020 წელი;
14. „საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსების სახელმძღვანელო“ (Handbook on Residential Property Prices Indices (RPPIs)), ევროსტატი, 2013 წელი.

დანართი 3

სოციალური სტატისტიკა

1. შრომის სტატისტიკოსთა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია „შრომითი საქმიანობის, დასაქმებისა და არასრულად გამოყენებული სამუშაო ძალის სტატისტიკის შესახებ“ (Resolution concerning statistics of work, employment and labour underutilization - adopted by the 19th International Conference of Labour Statisticians) 2013 (გლობალური მითითებები სამუშაო ძალის გამოკვლევის დიზაინისათვის - The global reference for labour force survey design, 2018);
2. შინამეურნეობებისა და ცალკეული ინდივიდების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდოლოგია (Manual for measuring ICT Access and Use by Households and Individuals), ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო გაერთიანება, ჟენევა, შვეიცარია, 2014 წელი;
3. ინფორმაციული საზოგადოების სტატისტიკის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო (Methodological Manual for statistics on the Information Society), ევროსტატი, 2014 წელი;
4. შინამეურნეობების გამოკვლევების სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;
5. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა: დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (Hussmanns, R., Mehran, F., Verma, V. Surveys of Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment), რ. ჰუსმანსი, ფ. მერანი, ვ. ვერმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჟენევა, შვეიცარია, 1992 წელი;
6. „ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა“ (An Integrated System of Wages Statistics, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), ჟენევა, შვეიცარია;
7. ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებულ სისტემასთან დაკავშირებული რეზოლუცია, მიღებულია შრომის სტატისტიკოსთა მე-12 საერთაშორისო კონფერენციაზე (Resolution concerning an integrated system of wages statistics, adopted by the Twelfth International Conference of Labour Statisticians), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 1973 წელი;
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებების აღკვეთის და სისხლის სამართლის ვენის განყოფილების სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის და პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის რეკომენდაციები;
9. UNESCO სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები (განათლება, მეცნიერება, კულტურა);
10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები გენდერული სტატისტიკის სფეროში.

დანართი 3

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკა

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2020 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2020 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, ჟენევა, 2015 წელი;
2. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერისთვის (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, ჟენევა, 2006 წელი;
3. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მესამე გადახედავა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2014 წელი;
4. სახელმძღვანელო ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის ანგარიშის მოსამზადებლად (Guidelines and Template for Developing a Vital Statistics Report, UN ESCAP, Statistics Norway), გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, ნორვეგიის სტატისტიკის სამსახური, ბანგკოკი, 2018 წელი;
5. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი (Concise Demographic Encyclopedic Dictionary, UNFPA), მესამე გამოცემა, გაეროს მოსახლეობის ფონდი, თბილისი, 2012 წელი.

ბიზნეს სტატისტიკა

1. სტატისტიკური მოთხოვნების კრებული (Statistical Requirements Compendium, Eurostat), ევროსტატი, 2004, 2009, 2018 და 2020 წლების გამოცემები;
2. ევროპული ბიზნესი - სტატისტიკის სახელმძღვანელო (European Business Statistics Manual, Eurostat), 2020 წელი;
3. „მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - განმარტებები და რეკომენდაციები“ (Methodology of Short-Term Business Statistics (Interpretation and Guidelines), Eurostat), ევროსტატი, 2006 წელი;
4. „მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - თანმხლები დოკუმენტები“ (Methodology of Short-Term Business Statistics (Associated Documents), Eurostat), 2006 წელი, ევროსტატი);
5. „საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის“ (International Recommendations for Construction Statistics, UNSD), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 3

6. „ახსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის“, გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;
7. „ენერჯეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო“ (Energy Statistics Manual, OECD), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, ენერჯეტიკის საერთაშორისო სააგენტო;
8. გაერთიანებული ორგანიზაციების მონაცემთა ინიციატივის ნავთობის სახელმძღვანელო, (Joint Organisations Data Initiative - JODI Oil Manual);
9. გაერთიანებული ორგანიზაციების მონაცემთა ინიციატივის გაზის სახელმძღვანელო, (Joint Organisations Data Initiative -JODI Gas manual);
10. შინამეურნეობებში ენერჯის მოხმარების სტატისტიკის სახელმძღვანელო, (Manual for statistics on energy consumption in households, 2013 year);
11. „საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის“ (International Recommendations for Distributive Trade Statistics, UN), გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი;
12. „სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგია“ (Road Freight Transport Methodology, Eurostat) ევროსტატი, 2008 და 2016 წლის გამოცემები;
13. მომსახურების სტატისტიკის განვითარება: „მომსახურების სტატისტიკა მოკლევადიან ბიზნეს სტატისტიკაში“ სემინარის მასალები (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2002 წელი;
14. „ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი“ (Glossary for Transport Statistics, Eurostat), მეხუთე გამოცემა, ევროსტატი, 2019 წელი;
15. „ბიზნეს რეგისტრი: რეკომენდაციების სახელმძღვანელო“ (Business Register: Recommendations Manual, Eurostat), ევროსტატი, - 2010 წელი;
16. „ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე“ (Eurostat - OECD Manual on Business Demography Statistics), ევროსტატი და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, 2007 წელი;
17. „სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრის სახელმძღვანელო“ (Guidelines on Statistical Business Registers, United Nations), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, 2015 წელი;
18. „სტატისტიკური ერთეულები“ (STATISTICAL UNITS, United Nations), გაერო, ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი. სტატისტიკის განყოფილება, 2007 წელი;

დანართი 3

19. „ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო“ (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat), ევროსტატი, 1999 წელი;
20. ინტეგრირებული ბიზნეს სტატისტიკის რეგულაციები - ცვლადების განმარტებები, ევროპის კომისია, ბიზნეს სტატისტიკის დირექტორთა ჯგუფი, 2015 (Framework Regulation Integrating Business Statistics (FRIBS) - Definitions of variables, European Commission, BUSINESS STATISTICS DIRECTORS GROUP, 2015);
21. საერთაშორისო რეკომენდაციები ტურიზმის სტატისტიკისთვის 2008 (International Recommendations for Tourism Statistics 2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;
22. მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო ტურიზმის სტატისტიკისთვის, ვერსია 3.1 (Methodological Manual for Tourism Statistics, version 1.2), ევროსტატი, 2014 წელი;
23. საგზაო სატვირთო ტრანსპორტის კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგიები წევრ და კანდიდატ ქვეყნებში (Methodologies used in road freight transport surveys in Member States, EFTA and Candidate Countries), ევროსტატი, 2021 წელი;
24. ევროპული ბიზნეს სტატისტიკის სახელმძღვანელო (European Business Statistics Manual), ევროსტატი, 2021 წელი.

სოფლის მეურნეობის სტატისტიკა

1. „ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 - რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის“. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია # 11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005 წელი;
2. „მსოფლიო პროგრამა სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის 2020“, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია #15, ტ.1 (World Programme for the Census of Agriculture 2020, FAO, Vol. 1), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 2017 წელი;
3. მეთოდოლოგიური მითითებები გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოს დაცვითი მაჩვენებლების წარმოებისთვის.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის მიერ

2021 წელს

გამოქვეყნებული ძირითადი პროდუქტები

დანართი 4

მთლიანი შიდა პროდუქტი, 2021 წელი
(წინასწარი მონაცემები)

2021 წლის წინასწარი მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მიმდინარე ფასებში 60 231.6 მლნ. ლარს გაუტოლდა, რაც 22.3 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს, ხოლო რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით 10.4 პროცენტი შეადგინა. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის პროცენტული ცვლილება 2021 წელს 10.8 პროცენტით განისაზღვრა.


	2020	2021*
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი)	49 266.7	60 231.6
მშპ მიმდინარე ფასებში (მლნ. აშშ დოლარი)	15 842.9	18 700.1
მშპ ერთ სულზე (ლარი)	13 234.1	16 154.1
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	4 255.7	5 015.3
რეალური მშპ-ის ზრდა (%)	-6.8	10.4
მშპ-ის დეფლატორის პროცენტული ცვლილება (%)	7.3	10.8

* წინასწარი მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და დეფლატორის პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით (პროცენტი)




* წინასწარი მონაცემები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (16.6 პროცენტი) და დამამუშავებელი მრეწველობა (11.7 პროცენტი), შემდგომ პოზიციებს იკავებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (10.2 პროცენტი), მშენებლობა (8.0 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (7.0 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (6.5 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (6.2 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (5.2 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (4.8 პროცენტი).

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა
2021* წელი



* წინასწარი მონაცემები

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაჯრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დანართი 4

ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი (19.9 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (27.6 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენება (43.1 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (28.7 პროცენტი), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (23.5 პროცენტი), უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები (9.2 პროცენტი), დამამუშავებელი მრეწველობა (9.0 პროცენტი), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები (29.8 პროცენტი), ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება (33.5 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (23.9 პროცენტი), სამთომოპოვებითი მრეწველობა (13.5 პროცენტი).

კლება აღინიშნა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (-21.8 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (-1.4 პროცენტი), განათლება (-2.3 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (-0.9 პროცენტი).

ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა მიმდინარე ფასებში ასახულია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე



*წინასწარი მონაცემები.

■ მშპ ერთ სულზე, ლარი

■ მშპ ერთ სულზე, დოლარი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ინფლაცია საქართველოში, 2021 წლის დეკემბერი

2021 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.3 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9 პროცენტი შეადგინა.


რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2021 წლის დეკემბერში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო თამბაქოს გარეშე წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებელი 6.0 პროცენტით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2021 წლის დეკემბრის წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	15.6
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5.2
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	2.8
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი	43.5
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	11.8
ჯანმრთელობის დაცვა	7.9
ტრანსპორტი	17.3
კავშირგაბმულობა	-0.7
დასვენება, გართობა და კულტურა	2.5
განათლება	4.8
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	14.0
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	6.0

ჯგუფების წვლილი 2021 წლის დეკემბრის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 13.9%)



ინფლაციის დონე, სულ

13.9

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ჯგუფში ფასები გაიზარდა 15.6 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 5.01 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ზეთი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4


და ცხიმი (24.5 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (20.7 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (20.2 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (19.8 პროცენტი), თევზი (16.5 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (15.3 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (13.5 პროცენტი), ხილი და ყურძენი (10.5 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (10.2 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (6.1 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები გაიზარდა 17.3 პროცენტით, რაც 2.24 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე. ფასები, ძირითადად, მომატებულია პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (24.9 პროცენტი);

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, აირი: ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 43.5 პროცენტიანი მატება, რაც 3.64 პროცენტული პუნქტით აისახა წლიურ ინფლაციაზე. ფასები გაიზარდა ქვეჯგუფებზე: წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (64.7 პროცენტი), ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები (64.4 პროცენტი), საცხოვრებლის მიმდინარე მოვლა და შეკეთება (8.0 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა საცხოვრებლის ფაქტიურ გადასახადზე (-3.1 პროცენტი).

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



დანართი 4


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2021 წლის წლიური და 2021 წლის IV კვარტალი

2021 წელი
(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2021 წელს 1 152.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ორჯერ მეტია 2020 წლის დაბუსტებულ მონაცემებზე. ზრდა განპირობებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამივე კომპონენტის (სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები) მაჩვენებლის გაზრდით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2016-2021 წლებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2016-2021 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით, 2016-2021 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)


	2016	2017	2018	2019	2020	2021*
სულ	1 654.0	1 980.8	1 317.1	1 335.8	572.0	1 152.8
მათ შორის:						
სააქციო კაპიტალი	1 809.2	1 110.4	847.5	704.0	28.7	174.9
რეინვესტიცია [^]	311.0	616.5	434.0	635.1	500.5	760.5
სავალო ვალდებულებები ^{^^}	-466.2	253.9	35.5	-3.2	42.8	217.4

*წინასწარი მონაცემები.

[^] რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^{^^} სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2016-2021 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა:

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2021 წლის მიხედვით
(მლნ. აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	2021*
სულ	1 654.0	1 980.8	1 317.1	1 335.8	572.0	1 152.8
მათ შორის:						
გაერთიანებული სამეფო	87.8	249.0	182.9	236.9	303.0	596.6
ნიდერლანდები	77.3	355.3	211.6	88.1	200.7	125.9
ჩეხეთი	87.5	129.1	75.5	17.6	-7.0	81.8
თურქეთი	220.3	256.2	49.2	174.2	79.0	64.7
რუსეთი	28.5	51.3	74.3	55.2	39.2	58.6
ლუქსემბურგი	115.7	100.7	50.1	68.8	21.6	41.0
არაბთა გაერთიანებული საამიროები	55.3	147.1	33.9	26.3	-12.7	34.8
გერმანია	24.3	-94.5	40.7	23.7	36.5	31.6
მარშალის კ-ები	4.2	2.9	1.9	34.0	6.8	21.3
სეიშელები	-4.5	5.2	3.4	3.1	-0.9	19.8
დანარჩენი ქვეყნები	957.5	778.5	593.5	608.1	-94.3	76.7

*წინასწარი მონაცემები.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2021 წლის წინასწარი მონაცემებით, 69.8 პროცენტი შეადგინა.

ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას, განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო იმყოფება 51.8 პროცენტით, მეორეზე - ნიდერლანდები 10.9 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩეხეთი 7.1 პროცენტით.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2021* წელს



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2021 წელს, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მოცემულია ცხრილში:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2016-2021 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	2021*
სულ	1 654.0	1 980.8	1 317.1	1 335.8	572.0	1 152.8
მათ შორის:						
საფინანსო სექტორი	124.1	308.8	274.0	272.1	404.4	443.3
გართობა, დასვენება და სხვა სახის მომსახურება	52.3	28.0	36.6	143.2	18.2	230.5
ენერგეტიკა	145.1	279.0	123.1	261.4	-7.8	157.0
დამამუშავებელი მრეწველობა	123.6	99.5	171.6	117.3	35.5	143.0
უძრავი ქონება	55.1	222.5	133.7	8.6	90.3	84.1
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	31.3	7.9	15.8	18.8	10.6	28.2
მშენებლობა	176.6	177.3	175.2	46.0	33.3	27.6
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	9.6	14.1	-1.4	6.3	-1.8	9.0
სასტუმროები და რესტორნები	119.9	109.5	82.3	123.4	-249.5	7.7
ტრანსპორტი	575.7	475.5	203.7	55.0	12.8	4.7
დანარჩენი სექტორები	240.7	258.8	102.4	283.7	226.0	17.5

*წინასწარი მონაცემები.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2021 წელს 72.1 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 443.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება გართობის, დასვენების და სხვა სახის მომსახურების სექტორი 230.5 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ენერჯეტიკის სექტორი, 157.0 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2021 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაზე:

**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2021* წელს**



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

2021 წელი


(წინასწარი)

2021 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 14 315.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25.6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 4 242.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (26.9 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 10 073.3 მლნ. აშშ დოლარს (25.1 პროცენტით მეტია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2021 წელს, 5 831.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.7 პროცენტია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს გრაფიკული გამოსახულება, 2016-2021 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2016-2021 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

■ ექსპორტი

■ იმპორტი

■ სალდო


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ქვემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს ქვეყნების ჯგუფების წილს საქართველოს მთლიან ექსპორტსა და იმპორტში.


ქვეყნების ჯგუფების წილი ექსპორტში

2021* წელს



ქვეყნების ჯგუფების წილი იმპორტში

2021* წელს



*წინასწარი მონაცემები.

შენიშვნა: ევროკავშირი მოიცავს 27 ქვეყანას.


2021 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 77.3 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ჩინეთი (615.6 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (610.0 მლნ. აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (531.7 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ათი უმსხვილესი საქსკოროტო ქვეყანა 2020-2021 წლებში


(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი საქსკოროტო ქვეყნების წილი მთლიან ქვეყანაში

2021* წელს



*წინასწარი მონაცემები.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.1 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 823.7 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 028.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (864.9 მლნ. აშშ დოლარი).

ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყანა 2020-2021 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)




*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 815.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ფეროშენადნობები 477.4 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 456.6 მლნ. აშშ დოლარით (10.8 პროცენტი).

უმსხვილესი საქსპორტო საქონლის ათეული
2021* წელს




*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2021 წელს წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 898.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.9 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 822.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 736.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.3 პროცენტი).

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული 2021* წელს



*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი

	ქვეყნების რაოდენობა	საგარეო სავაჭრო ბალანსი მლნ. აშშ დოლარი
უარყოფითი სავაჭრო ბალანსი		
2020 წელი	89	5 132.2
2021* წელი	87	6 202.0
დადებითი სავაჭრო ბალანსი		
2020 წელი	54	423.3
2021* წელი	59	371.0
სულ		
2020 წელი	143	4 708.9
2021* წელი	146	5 831.0

*წინასწარი მონაცემები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

სამუშაო ძალის მაჩვენებლები

(დასაქმება და უმუშევრობა)


2021 წლის IV კვარტალი

2021 წლის IV კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19.0 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე 2018-2021 წლებში კვარტალების მიხედვით.

უმუშევრობის დონე საქართველოში

(%)




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში სამუშაო ძალამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 51.2 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით მეტია, ხოლო დასაქმების დონე გაზრდილია 1.7 პროცენტული პუნქტით და 41.5 პროცენტს შეადგენს. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირდა 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში გაიზარდა 3.1 პროცენტული პუნქტით. დასაქმების დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაიზარდა 0.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 2.7 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამუშაო ძალის მონაწილეობის დონისა და დასაქმების დონის მაჩვენებლები 2018-2021 წლებში კვარტალების მიხედვით.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე და დასაქმების დონე
(%)




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში დაქირავებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67.6 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.4 პროცენტული პუნქტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით 2018-2021 წლებში, კვარტალურ ძრილში.

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით (%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირდა 2.1 პროცენტული პუნქტით, ხოლო სასოფლო დასახლებებში - 0.2 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით 2018-2021 წლებში, კვარტალურ ძრილში.

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის მიხედვით

(%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


დანართი 4

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2021 წლის IV კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში შემცირებულია 1.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.7 პროცენტული პუნქტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით 2018-2021 წლებში, კვარტალურ ძრილში.

უმუშევრობის დონე სქესის მიხედვით

(%)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4


სანარმოთა საქმიანობის შედეგები

(2021 წლის IV კვარტალი)

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2021 წლის IV კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.6 პროცენტით გაიზარდა და 43.8 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2021 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 16.2 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 31.1 პროცენტით მეტია:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტალების მიხედვით




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 61.2 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 18.4 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო 20.4 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 42.1 პროცენტი, საშუალოზე - 27.4 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 30.5 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2021 წლის IV კვარტალი




საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2021 წლის IV კვარტალში 25.0 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 38.4 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 15.2 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 38.6 პროცენტით მეტი).

2021 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 693.4 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 8.1 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.7 პროცენტი ქალია, ხოლო 57.3 პროცენტი - კაცი.

დანართი 4

ბიზნეს საქტორში დასაქმებულთა რაოდენობა
კვარტლების მიხედვით



დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 39.5 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.5 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 38.0 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 664.0 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 9.0 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 3 255.7 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.4 პროცენტით მეტი).

2021 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 597.8 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 180.9 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 1 242.6 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 172.5 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:


- მსხვილი ბიზნესი - 1 666.9 ლარი
- საშუალო ბიზნესი - 1 883.3 ლარი
- მცირე ბიზნესი - 1 328.1 ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 36.2 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 32.3 პროცენტია წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.9 პროცენტია წილით, მშენებლობა - 5.9 პროცენტია წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 4.6 პროცენტია წილით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება - 3.4 პროცენტია წილით, ხოლო დარჩენილი 7.8 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

**ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა,
2021 წელი IV კვარტალი**




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (24.4 პროცენტი) და ვაჭრობა (18.8 პროცენტი), შემდეგ მოდის მშენებლობა (17.3 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 8.9 პროცენტის ნილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 30.5 პროცენტის ნილი უჭირავს:

**ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა,
2021 წელი IV კვარტალი**




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

2021 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგები ღიდერობენ (შესაბამისად 27.0 პროცენტი, 12.6 პროცენტი და 10.6 პროცენტის ნილებით). თუმცა სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის მშენებლობის (9.2 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.0 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის სანარმოებზეც (4.9 პროცენტი):

**ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა,
2021 წლის IV კვარტალი**



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება, განქორწინება, 2021 წელი)¹

დაბადება

2021 წელს, საქართველოში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 45 946 ბავშვი შეადგინა, მათ შორის 23 911 ბიჭი და 22 035 გოგოა. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 1.2 პროცენტით.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით

წელი	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას
2020	46 520	24 289	22 231	109.3
2021	45 946	23 911	22 035	108.5

2021 წელს, დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა დაფიქსირდა ქ. თბილისში (14 979 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (263 ბავშვი).


¹ მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, რიგით პირველი დაბადებულის წილი შემცირდა 38.0 პროცენტიდან 37.4 პროცენტამდე, მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა და შეადგინა 35.6 პროცენტი, ხოლო მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი 25.8 პროცენტიდან 26.4 პროცენტამდე გაიზარდა.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა დაბადების რიგითობის მიხედვით



2021 წელს, ცოცხლად დაბადებულთა საერთო რიცხოვნობაში, წინა წელთან შედარებით, 25 წლამდე ასაკის დედების მიერ გაჩენილი ბავშვების წილი 28.4 პროცენტიდან 27.2 პროცენტამდე შემცირდა, 25-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის დედების წილი 67.2 პროცენტიდან 69.2 პროცენტამდე გაიზარდა. კლება შეინიშნება 40 წლის და უფროსი ასაკის დედებში, მათი წილი 4.4 პროცენტიდან 3.6 პროცენტამდე შემცირდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

გარდაცვალება²


2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 18.5 პროცენტით გაიზარდა და 59 906 ერთეული შეადგინა. გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა ქ. თბილისში (17 922 კაცი), ხოლო ყველაზე ნაკლები – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (874 კაცი).

ბუნებრივი მატება

2021 წელს, საქართველოში დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და -13 960 ერთეულით განისაზღვრა.

ამასთან, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა.

ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით



² სტატისტიკურ სამუშაოთა 2022 წლის პროგრამის შესაბამისად, 2021 წლის გარდაცვლილთა რიცხოვნობა გარდაცვალების მიზეზების მიხედვით, გამოქვეყნდება მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

ქორწინება³

2021 წელს, რეგისტრირებულია 23 155 ქორწინება, რაც 41.5 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით.

პირველი ქორწინების საშუალო ასაკი ქალებისთვის შეადგენს 29.0 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის 31.5 წელს.

რეგისტრირებული ქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2020	2021
საქართველო	16 359	23 155
თბილისი	5 008	6 874
აჭარის ა.რ.	1 761	2 262
გურია	448	571
იმერეთი	2 544	3 555
კახეთი	1 166	1 771
მცხეთა-მთიანეთი	339	421
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	146	196
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 363	1 908
სამცხე-ჯავახეთი	788	1 069
ქვემო ქართლი	1 740	3 030
შიდა ქართლი	1 056	1 498

³ რაოდენობა არ მოიცავს იმ ქორწინებებს, როდესაც ორივე პირი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე და არ არის საქართველოს მუდმივი მოსახლე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანართი 4

განმორჩინება

2021 წელს, რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 10 654 ერთეული შეადგინა, რაც 39.4 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

რეგისტრირებული განქორწინებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	2020	2021
საქართველო	7 643	10 654
თბილისი	2 894	3 826
აჭარის ა.რ.	565	741
გურია	187	286
იმერეთი	1 316	1 831
კახეთი	505	772
მცხეთა-მთიანეთი	134	183
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	53	89
სამეგრელო-ზემო სვანეთი	694	969
სამცხე-ჯავახეთი	171	271
ქვემო ქართლი	705	1 003
შიდა ქართლი	419	683



საჩუქრით მონაწილეობი საერთო უარსაწყვეტილოებინათვის!



ქ. თბილისი 0180. გ. დავიანის ქ. 30

ტელ.: 236 72 10

www.geostat.ge info@geostat.ge

